სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 20 აგვისტო 2008 №191 (3415) ფასი 50 თეთრი

დღეს: ქართველები საქართველოსთვის!

კარდიფის იმ არენაზე, რომელსაც თავისუფლების სტადიონი ჰქვია, ექტორ რაულ კუპერი და მისი ახალი თანაშემწეები ქართული ფეხბურთის ახალ ეპოქას იწყებენ

ექტორ კუპერი და ნოდარ ახალკაცი

დღეს საქართველოს ნაკრები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე ბოლო ამხანაგურ მატჩს გამართავს. მეტოქე, რა ხანია გეცოდინებათ, უელსი გახლავთ, შეხვედრას კი ქალაქი სუონსი უმასპინძლებს.

ჩვენში დატრიალებული ამბების გამო საქართველოს ნაკრებს უელსში წასვლამდე პრობლემები თავზესაყრელად ჰქონდა, მაგრამ ახლა უკვე ყველაფერი მოგვარდა და ეროვნული გუნდიც ახალი მწვრთნელის, ექტორ რაულ კუპერისა და მისი თანაშემწეების, ანხელ პუებლასა და ხოსე ფანტაგუსის მეთვალყურეობით ემზადება დღევანდელი მატჩისთვის, რომელიც ჩვენი დროით 23 საათზე დაიწყება...

— ვინც ჩამოსასვლელი იყო და ვისაც ველოდით, უკვე ყველა აქ არის — გვითხრა გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა, რომელსაც უელსში დავუკავშირდით — სავიზო თუ ჯანმრთელობის პრობლემების გამო უელსთან ჩვენს ნაკრებს რამდენიმე ფეხბურთელი დააკლდება, თუმცა ვინც კუპერის განკარგულებაშია, ყველანი ერთი-ორად მონდომებულნი და მობილიზებულნი არიან, ყველას კარგად ესმის, რა მნიშვნელობა აქვს უელსთან მატჩს ჩვენი ქვეყნისთვის.

— ახალი მწვრთნელი ფეხბურთელებს უკვე გაეცნობოდა. რა ითქვა მათი პირველი შეხვედრისას?

— ფედერაციის ხელმძღვანელებმა გუნდს ექტორ რაულ კუპერი და მისი თანაშემწეები წარვუდგინეთ. ყველანი ოპტიმისტურად განეწყვნენ და მწვრთნელიც ისე ესაუბრა ფეხბურთელებს, რომ მათგან დიდი სიმპათია დაიმსახურა. ითქვა, რომ საქართველოს ნაკრებისთვის არც ერთი ფეხბურთელი არ დაიკარგება და მათი მონდომება და პროგრესი შეუმჩნეველი არავის დარჩება. შანსი ყველას ექნება, და ეს უკვე თავად ფეხბურთელებმა უნდა გამოიყენონ. კუპერს სანაკრებო გაფართოებული სია აქვს და ახლა თავად ის იტყვის-ხოლმე, კონკრეტული მატჩისთვის რომელი ფეხბურთელები დასჭირდება.

— კონკრეტულად უელსთან მატჩზე რას ამბობს მწვრთნელი?

— ცხადია, მან იცის, შემადგენლობის მხრივ პრობლემები რომ გვაქვს, მაგრამ ისიც იცის, რომ უელსთან ამ მატჩს ჩვენი ქვეყნისთვის როგორი მნიშვნელობაც აქვს. ჩვენც ყველას კარგად გვესმის, ახლა რა მდგომარეობაც არის საქართველოში და როგორი ძნელი იქნება ასეთ ვითარებაში ფეხბურთელებისთვის თამაში. მაგრამ ყველანი იმედიანად ვართ და ძალიან გვსურს, რომ სწორედ ახლა გავახაროთ საქართველო. ვიცით, რომ ქართველი ქომაგი უდიდესი ინტერესით ელის ამ შეხვედრას.

— უელსში რას ამბობენ ჩვენს ამბებზე?

— აქ ყოფნისას ადგილობრივი ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელებთან და თქვენს კოლეგებთან ხშირი ურთიერთობა მაქვს და შეიძლება ითქვას, გაცებულნიც კი არიან, ჩამოსვლა რომ მოვახერხეთ და ამ მატჩის გადადება არ მოვითხოვეთ. მადლობას ამბობენ და ცხადია, ასეთ რთულ ვითარებაში ჩვენს ქვეყანას სოლიდარობას უცხადებენ. ჩვენც მადლობელები ვართ, ასე თბილად რომ გვმასპინძლობენ და ყურადღებას არ გვაკლებენ.

ძოგა ინასარიძე

სპორტმა იცის, რა არის ომი

პეტარ სეგრტი: რუსები ვერც წარმოიდგენდნენ, რომ ამგვარ ვითარებაში ჩვენ ნაკრებს შევკრებდით და უელსში ჩავიყვანდით. დღეს შედეგი მთავარი არ არის. ეს მატჩი არის გზა, ვაჩვენოთ რუსებს, რომ დაბომბვების მიუხედავად, ისინი ვერასოდეს შეაჩერებენ ქართველ ხალხს

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა არგენტინა და ბრაზილია, რა თქმა უნდა, I NEED TICKET

ძალა გერიძე
პეკინიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის“

თითოეული ადამიანი ინდივიდია, ყველას აქვს თავისი უარყოფითი და დადებითი თვისებები, მისწრაფებები ცხოვრებაში, სურვილები და ოცნებები...

მკითხველი, ალბათ, გაკვირვებული იკითხავს, როდესაც მსოფლიო მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ოლიმპიურ თამაშებზე მიმდინარე სპორტული ბატალიებით და ციებ-ცხელებით ცხოვრობს, „სარბიელის“ კორესპონდენტი რა ადამიანურ თვისებებზე გველაპარაკებაო...

საქმე ის გახლავთ, რომ პეკინის ოლიმპიადა, კონკრეტულად კი 2008 წლის 19 აგვისტო, დაუვიწყარი გახდება ჩემი და ალბათ არაერთი ჩემი კოლეგისთვის, რომლებმაც ცოცხლად იხილეს ყველანაირი გაგებით, მუდამ უშეღავათო, პრინციპული და დიდი საფეხბურთო დაპირისპირება არგენტინასა და ბრაზილიას შორის. მერე რა, რომ ეს არ იყო მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩი, მერე რა, რომ არ იყო ამ ქვეყნების მთავარ ნაკრებთა შეხვედრა... განა „ბარსელონას“ ვარსკვლავის ლეო მესის, ანდაც „მილანში“ ახლახან გადასული რონალდინიოს, „რეალის“ ახალგაზრდა იმედის ფერნანდო გაგოს, ასევე ხუან რომან რიკელმეს, რაფინიას, დიეგოს, სერხიო აგუეროს თამაშის პირდაპირ ეთერში ნახვაზე რომელიმე გულშემატკივარი უარს იტყვის? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ხომ ბრაზილია და არგენტინაა და, ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩი იქნება, ოლიმპიური თამაშებისა, კოპა ამერიკა, შესარჩევი ტურნირი თუ რიგითი ამხანაგური შეხვედრა, არგენტინა-ბრაზილია ინტრიგას მოკლებული არასოდეს გახდება.

როდესაც გაირკვა, რომ პეკინი 2008-ის საფეხბურთო ტურნირის ნახევარფინალში ერთმანეთს პელესა და მარადონას სამშობლოთა ნაკრებები დაუპირისპირდებოდნენ, ამ მატჩზე დასასწრებად მზადებას იმ დღიდანვე შევუდექი და არა მხოლოდ მე. უმალ დაიწყო ბილეთებზე ფაცი-ფუცი, ტრაფარეტებით სირბილი, ხვეწნა-მუდარა და ტრადიციული I NEED TICKET.

საბედნიეროდ, ჟურნალისტებს ეს პრობლემა არ შეგვქმნია, რადგან ჩვენი აკრედიტაცია ბილეთზე მეტი საბუთია.

მატჩის დღეს ოლიმპიადაზე ქართველი სპორტსმენების ასპარეზობათა განრიგს ჩავხედე და მძლეოსნობაში დავით ილარიანის გარბენი ემთხვეოდა. მცირედი დილემის წინაშე აღმოვჩნდი, ან ილარიანის 110 მეტრზე თარჯრბენში მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის გარბენს უნდა დავსწრებოდი, ან არგენტინა — ბრაზილიის შეხვედრას. არჩევანი მეორეს სასარგებლოდ გავაკეთე და იმედია, ამის გამო არ გამკიცხავთ. ასეთი შანსის ხელიდან გაშვებას საკუთარ თავს ვერასოდეს ვაპატიებდი. ამით ხომ ბავშვობის ოცნება ავისრულე, სწორედ ის ოცნება, რაზეც წერილის თავში ვწერდი. ვინ იცის კიდევ როდის მომეცემა ასეთი შესაძლებლობა...

პეკინის „მშრომელთა სტადიონზე“ შეხვედრამდე ნახევარი საათით ადრე მივედი და უმალ პრესის ლოჟისკენ გავემართე, როდესაც უცაბედად, ლოჟის შესასვლელთან კორდონი გადაგვეღობა და გამოგვიცხადეს, ადგილები აღარ არის და ვერ შეგიშვებთო. ამას ბუნებრივია, რამოდენიმე ათეული ჟურნალისტის აღშფოთება მოჰყვა. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თბილისის გარდა სადმე, და მით უფრო ოლიმპიადაზე, აკრედიტაციიან ჟურნალისტს სტადიონზე გზას თუ გადაუღობავდნენ.

ისიც კი გავიფიქრე, დაუმორჩილებლობის გამო სულაც აკრედიტაციის ჩამორთმევის ფასად რომ დამჯდომოდა, ტრიბუნაზე როგორმე რომ უნდა მოვხვედრილიყავი. საბოლოოდ ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდა და ლოჟაში შეგვიშვეს, რომელიც მართლაც გადაჭედილი იყო და მატჩს ფეხზე მდგომმა ვუყურე, თუმცა ასეთ „წვრილმანს“ ვინ დაეძებდა.

ძნელია, იმ განცდისა და მუხტის გადმოცემა, რაც ტრიბუნებზე ხდებოდა, ნაღდი საფეხბურთო სამოთხე იყო.

ყოფილი თანაგუნდელებიდან ვისი აჯობებდა, მესის თუ რონალდინიოსი?

შეხვედრის ყურება ბრაზილიელი ჟურნალისტების გარემოცვაში მომიხდა და მათი შემხედვარე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ რაოდენ ძვირფასია ამ ქვეყნის ხალხისთვის ფეხბურთი. თითოეული მათგანი ტირილის ზღვარზე იყო და როდესაც რიკელმემ ბრაზილიელთა იმედები საბოლოოდ დაასამარა, რამდენიმე ბრაზილიელი ჟურნალისტი მატჩის დასრულებას აღარც კი დაელოდა, ისე უკანმოუხედავად წავიდა.

შესანიშნავად მოთამაშე არგენტინამ, ბრწყინვალე ფორმაში მყოფი მესის მეთაურობით, წონაში აშკარად მომატებული რონალდინიოს ბრაზილია მიწასთან გაასწორა და ერთი ნაბიჯიღა აშორებს ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულის დაცვას, სადაც 23 აგვისტოს ნიგერიას შეებრძოლება.

ანგარიშში დიდი სხვაობის მიუხედავად, შეხვედრამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, ისევე როგორც ნბა-ს ვარსკვლავებით დახუნძლული ამერიკისა და მსოფლიო ჩემპიონი ესპანეთის საკალათბურთო მატჩმა და ცურვაში ფელპსის უნიკალურმა შედეგმა, რისი თვითმხილველიც ასევე გახლდით.

... სამწუხაროდ, წარუმატებლად დაიწყო ჩვენთვის შეჯიბრი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც გუშინ ბესარიონ გუჩაშვილმა (55 კგ) თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა. მართალია, პირველ წრეში რუმინელი ფალავანი დაამარცხა, მაგრამ შემდეგ თავად დამარცხდა მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონ ამერიკელ ჰენრი ცეჯუდოსთან და ვერც რეპეშაჟში გააწყო ვერაფერი ბულგარელ მოწინააღმდეგესთან, რომელიც ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე დაასრულა ასპარეზობა მძლეოსანმა დავით ილარიანმაც.

დღევანდელი დღე საქართველოს ოლიმპიური გუნდისთვის მეტად მნიშვნელოვანია. ასპარეზობაში ერთვებიან თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ოთარ თუშიშვილი და გელა საღირაშვილი, ასევე ადგილობრივი დროით დილის 9 საათზე, ხოლო საქართველოში გამთენიისას 5 საათზე, დაიწყება ნახევარფინალური მატჩი პლაჟის ფრენბურთში ვაჟთა შორის საქართველოსა და ამერიკის გუნდებს შორის. გეცოდინებათ, გეორ-გიას მეტოქეები მოქმედი მსოფლიო ჩემპიონები არიან და ბუნებრივია, ფავორიტადაც ამერიკული წყვილი ითვლება, თუმცა სპორტი ხომ სიურპრიზებით აღსავსე რამაა და ვინ იცის, ეგებ „სარბიელში“ ამ რეპორტაჟის კითხვის დროს გეორ და გია უკვე უდიდესი სენსაციის ავტორებიც იყვნენ...

რონალდინიო, ლეო მესი და რომან რიკელმეს გოლი



გუჩაშვილმა თავისუფლად ვერ დაიწყო და დაასრულა

გუშინ პეკინში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შეჯიბრი დაიწყო და პირველ დღეს საქართველოს ღირსება ბესიკ გუჩაშვილმა (55 კგ) დაიცვა.

გუჩაშვილმა პირველი წრე გამოტოვა, მერვედფინალში კი რუმინელ პეტრუ ტარცას დაეჭიდა და ორ სეტში იოლად, 3:0, 3:0 მოუგო.

მეოთხედფინალში ქართველის მეტოქე ამერიკელი ჰენრი ცეჯუდო იყო, ვინც 21 წლისაა და არც ტიტულებითაა გამორჩეული, მაგრამ ჩვენი მოჭიდავისთვის მაინც დაუმარცხებელი აღმოჩნდა. ამერიკელმა, თავის მხრივ, მოგებები გააგრძელა და ბესიკი რეპეშაჟში გაიყოლა, სადაც მისი პირველი მეტოქე გამოცდილი ბულგარელი ფალავანი რადოსლავ ველიკოვი იყო. გუჩაშვილმა ველიკოვთან 0:1, 1:2 წააგო და მედლისთვის ბრძოლა შეწყვიტა.

დღეს „თავისუფლებიდან" ოთარ თუშიშვილი (66 კგ) და გელა საღირაშვილი (79) იჭიდავებენ და იმედი ვიქონიოთ, რომ ქართულ ყულაბაში მორიგი მედლები ჩაჩხრიალდება...

ნიკა კოპაძე

ილარიანის ოლიმპიადამ 13,67 წამში გაირბინა



გურამ ფოფლაძე/ბიბლიოთეკის ფოტო

მძლეოსანმა დავით ილარიონმა 110 მეტრ თარჯრბენში მეოთხედფინალურ ეტაპზე ირბინა და თავის ჯგუფში ნაჩვენებმა 13,67 წამმა მას ბოლო ადგილი არგუნა, რაც ავტომატურად ოლიმპიადისთვის ხელის დაქნევას ნიშნავს.

მომდევნო ეტაპზე რვა სპორტსმენიდან სამი უკეთესი გადიოდა, რაც დაუძლეველი ბარიერი აღმოჩნდა. ილარიანთან ერთად გარბოდა კუბელი მსოფლიოს ჩემპიონი დაირონ რობლესი, ვინც უპრობლემოდ გაიმარჯვა და საერთოდ ჩემპიონობის მთავარ ფავორიტად ითვლება...

ნიკა კოპაძე

რაგბი

ირიბული ადი-ჩადი

ახალ ზელანდიასთან „სამ ერზე" გამართული შეხვედრის შემდეგ მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი სამხრეთ აფრიკა, რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) რეიტინგში მე-2 ადგილზე დაქვეითდა. სამ ერზე ნულზე (19:0) წააგო რაგბის რომანტიკოსებთან.

საქართველოს ნაკრები კვლავაც მე-14 პოზიციაზე. რუმინელები მე-17 ადგილს ინარჩუნებენ. მათ ერთი პოზიციით ჩამორჩება ავადსახსენებელი რუსეთი, ხოლო ერთა თასის დებიუტანტი და ქართველთა მეტოქე გერმანიის ნაკრები 25-ე ადგილზე მყარად დგას.

ზურაბ მიგრიაული

1(2)	ახალი ზელანდია	91.21
2(1)	სამხრეთ აფრიკა	87.98
3(3)	ავსტრალია	86.28
4(4)	არგენტინა	83.36
5(5)	ინგლისი	83.16
6(6)	უელსი	80.12
7(7)	საფრანგეთი	78.99
8(8)	ირლანდია	77.18
9(9)	შოტლანდია	76.92
10(10)	იტალია	75.57
11(11)	ფიჯი	75.24
12(12)	სამოა	72.57
13(13)	ტონგა	70.05
14(14)	**საქართველო**	69.43
15(15)	კანადა	68.81
16(16)	იაპონია	67.35
17(17)	რუმინეთი	63.94
19(19)	ურუგვაი	63.69
20(20)	აშშ	63.69
21(21)	ესპანეთი	61.55
22(22)	კორეა	59.02
23(23)	პორტუგალია	58.88
24 (24)	ჩილე	57.07
25(25)	გერმანია	57.05

-55: ვინც იტყვის, რომ ეს ბევრი არ არის... იტალიამ ქვევით მიგვითითა

იტალია 104:49 საქართველო

32:13 27:13 15:14 30:9

საქართველო: ბოქოლიშვილი (6), ტეტელაშვილი, ელიაძე (14), თენეიშვილი (1), მუმლაძე (4); მაღრაძე (1), გურაბანიძე (4), ჯავახიშვილი (17), ჩერქეზიშვილი (2), კაკაურიძე, შარაბიძე

საქართველოს კადეტთა ნაკრებმა A დივიზიონში დასარჩენად ბრძოლა მასპინძელ იტალიასთან მარცხით დაიწყო. მას შემდეგ, რაც გელა წულაძის გუნდი ჯგუფიდან ვერ გავიდა, დანარჩენ სამ უიღბლოსთან ერთად ახალ ჯგუფში მოხვდა, საიდანაც 2 საუკეთესო ელიტაში დარჩება, 2 მაჩანჩალა კი B დივიზიონში ჩაინაცვლებს.

ქართველების იტალიასთან მატჩს პირველივე მეოთხედის შემდეგ დაეკარგა აზრი. ევროპის ჩემპიონატი იტალიაში ტარდება და მასპინძელთა გუნდის ჯგუფში ჩარჩენა დიდი მოულოდნელობა იყო. ეტყობა, ამან ისე განარისხა იტალიელები, რომ პირველივე მეტოქეს ერთი ამოსუნთქვით მოუგეს და ეს, ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველო აღმოჩნდა.

მასპინძლებმა მძლავრად დაიწყეს და პირველივე მეოთხედის შემდეგ სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს: 32:13. ქართველები ვერ უწევდნენ წინააღმდეგობას უაღრესად მოტივირებულსა და საკუთარი გულშემატკივრის მხარდაჭერით შეგულიანებულ იტალიელებს ამას კლასში ჩამორჩენაც დავუმატოთ და, რაც დრო გადიოდა, მასპინძელთა უპირატესობა უფრო სოლიდური ხდებოდა.

საბოლოოდ, იტალიამ დიდი სხვაობით, 104:49 გაიმარჯვა და ელიტაში დასარჩენ გზაზე დიდი ნაბიჯი გადადგა.

საქართველოს კი ორი მატჩი დარჩა სათამაშო, ჰოლონეთთან და უნგრეთთან და სავარაუდოდ, ორივეს დამარცხება შეუძლია. მოიგებს და, A დივიზიონში ადგილს შეინარჩუნებს.

რამაზ ყავლაშვილი

იტალიასთან ქართველები ძალიან პატარები გამოჩნდნენ

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის განცხადება

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს მოწვეულია სეოკ-ის საანგარიშო-საარჩევნო სესია.

სეოკ-ის ამჟამად მოქმედი წესდების შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად ასარჩევი კანდიდატურის დასახელება შეუძლია სეოკ-ის აღმასკომს, სპორტის ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციებს თავიანთი არჩევითი ხელმძღვანელი ორგანოების მეშვეობით, ოლიმპიურ აკადემიას, სეოკ-ის მიერ აღიარებულ ფიზკულტურულ-სპორტულ საზოგადოებებსა და ასოციაციებს, აგრეთვე გამონაკლისის შემთხვევაში სპორტსა და ოლიმპიურ მოძრაობაში როგორც სპორტული კარიერის, ასევე მისი დამთავრების შემდეგ, განსაკუთრებული დამსახურების მქონე ცალკეულ ფიზიკურ პირებს.

სათანადოდ გაფორმებული განცხადება სეოკ-ის პრეზიდენტად ასარჩევი კანდიდატურის შესახებ იგზავნება საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში საანგარიშო-საარჩევნო სესიის ჩატარებამდე არანაკლებ ორი თვით ადრე მაინც, ანუ არაუგვიანეს 2008 წლის 31 აგვისტომდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲕᲐᲠᲪᲮᲚᲑᲔᲙᲘ

ᲐᲤᲠᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ქალები. ლაზერი

1. ენ ტენკლიტი (აშშ) 37
2. გირტარე ვოლუნგევინუტე (ლიტვა) 42
3. ლიენ ქსუ (ჩინეთი) 50

კაცები. ლაზერი

1. პოლ გუდისონი (დიდი ბრიტანეთი) 63
2. რასმუს მირგრენი (შვედეთი) 71
3. ხავიერ ერნანდესი (ესპანეთი) 75

ᲑᲠᲘᲐᲑᲚᲝᲜᲘ

კაცები (1500მ ცურვა+40კმ ველორბოლა+10კმ სირბილი)

1. იენ ფროდენო (გერმანია) 1:48.53,28(18.14+59.01+30.46)
2. საიმონ უიტფელდი (კანადა) 1:48.58,47(18.18+58.56+30.48)
3. ბევინ დოჰერტი (ახალი ზელანდია) 1:49.05,59(18.23+58.51+30.57)

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

კაცები. 55კგ

1. ჰენრი კედუხო (აშშ)
2. ტომოჰირო მაცუნაგა (იაპონია)
3. რადოსლავ ველიკოვი (ბულგარეთი)
3. ბესიკ კუდუხოვი (რუსეთი)

კაცები. 60კგ

1. მავლეტ ბატიროვი (რუსეთი)
2. ვასილ ფედორიშინი (უკრაინა)
3. კენიჩი იუმოტო (იაპონია)
3. სეიედმორად მოჰამადი (ირანი)

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲢᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ

ქალები. დვირი

1. შეინ ჯონსონი (აშშ) 16,225
2. ნასტია ლუკინი (აშშ) 16,025
3. ფეი ჩენი (ჩინეთი) 15,950

კაცები. ორძელი

1. ქსიაოპენ ლი (ჩინეთი) 16,450
2. ვონ ჩუი იუ (სამხრეთ კორეა) 16,250
3. ანტონ ფოკინი (უზბეკეთი) 16,200

კაცები. ღერძი

1. კაი ცუ (ჩინეთი) 16,200
2. ჯონათან ჰორტონი (აშშ) 16,175
3. ფაბიან ჰამბუხენი (გერმანია) 15,875

ᲕᲔᲚᲝᲠᲑᲝᲚᲐ. ᲑᲠᲔᲙᲘ

ქალები. სპრინტი

1. ვიკტორია ჰენდელტონი (დიდი ბრიტანეთი)
2. ენ მაიერსი (ავსტრალია)
3. შუან გუო (ჩინეთი)

კაცები. სპრინტი

1. კრის ჰოი (დიდი ბრიტანეთი)
2. ჯეისონ კინი (დიდი ბრიტანეთი)
3. მიშელ ბურჟეინი (საფრანგეთი)

კაცები. მედისონი

1. ხუან ესტებან კურუჩა, ფერნანდო ჰერესი (არგენტინა) 8
2. ხუან ლინერასი, ანტონიო ტაილერი (ესპანეთი) 7
3. მიხაილ იგნატიევი, ალექსეი მარკოვი (რუსეთი) 6

ᲫᲐᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐ

კაცები. +105 კგ

1. მატიას შტაინერი (გერმანია) 461(203+258)
2. ევგენი ჩიგიშევი (რუსეთი) 460(210+250)
3. ვიკტორს შერბატისი (ლატვია) 448(206+242)

ᲑᲐᲑᲣᲒᲖᲔ ᲮᲢᲝᲛᲐ

კაცები

1. ჩუნიონ ლუ (ჩინეთი) 41,00
2. ჯეისონ ბარნეტი (კანადა) 40,70
3. დონ დონგი (ჩინეთი) 40,60

ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲮᲢᲝᲛᲐ

კაცები. პირადი. 3-მეტრიანი ტრამპლინი

1. ჩონ ჰი (ჩინეთი) 572,90
2. ალექსანდრ დესპიტი (კანადა) 536,65
3. კაი ქინი (ჩინეთი) 530,10

ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲜᲝᲑᲐ

გაწვრთნა. პირადი

1. ენკი ვან გრუნსვანი (ჰოლანდია) 78,680
2. იზაბელ ვერტხი (გერმანია) 76,650
3. ჰაიკე კემერი (გერმანია) 74,455

ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ

კაცები. სიმაღლეზე ხტომა

1. ანდრეი სილნოვი (რუსეთი) 2,36
2. ჯერმენ მეისონი (დიდი ბრიტანეთი) 2,34
3. იაროსლავ რიბაკოვი (რუსეთი) 2,34

ქალები. 100 მ თარჯრბენი

1. დევინ ჰარპერი (აშშ) 12,54
2. ხელი მაკლელანი (ავსტრალია) 12,64
3. პრისკილა ლოპეს-შლიპი (კანადა) 12,64

ქალები. 400 მ

1. კრისტინ ოჰურაგუ (დიდი ბრიტანეთი) 49,62
2. შერიკა უილიამსი (იამაიკა) 49,69
3. სანია რიჩარდსი (აშშ) 49,93

კაცები. ბადროს ტყორცნა

1. გერდ კანტერი (ესტონეთი) 68,92
2. პიოტრ მალახოვსკი (ჰოლონეთი) 67,82
3. ვირგილიუს ალეკნა (ლიტვა) 67,79

კაცები. 1 500 მ

1. რაშიდ რამზი (ბაჰრეინი) 3.32,94
2. აზბელ კიპრუტო კიპროირი (კენია) 3.33,11
3. ნიკოლას უილისი (ახ. ზელანდია) 3.34,16

ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ

ჩინეთი	43	14	19	76
აშშ	26	26	27	79
დიდი ბრიტანეთი	16	9	8	33
ავსტრალია	11	12	12	35
გერმანია	11	8	9	28
რუსეთი	10	14	18	42
სამხრეთ კორეა	8	10	16	24
იაპონია	8	6	8	22
იტალია	6	6	7	19
უკრაინა	5	4	8	17
საფრანგეთი	4	11	14	29
ჰოლანდია	4	5	4	13
რუმინეთი	4	1	3	8
ესპანეთი	3	4	2	9
პოლონეთი	3	4	1	8
სლოვაკეთი	3	1	-	4
კანადა	2	6	5	13
კენია	2	4	2	8
ჩეხეთი	2	3	-	5
იამაიკა	2	3	-	5
ახ. ზელანდია	2	1	5	8
დანია	2	1	3	6
ჩრდ. კორეა	2	1	3	6
ეთიოპია	2	1	-	3
შვეიცარია	2	-	3	5
საქართველო	2	-	1	3
კუბა	1	5	5	11
ბელარუსი	1	3	7	11
ყაზახეთი	1	3	4	8
ზიმბაბვე	1	3	-	4
აზერბაიჯანი	1	2	2	5
ნორვეგია	1	2	2	5
სლოვენია	1	2	2	5
ინდონეზია	1	1	3	5
ბულგარეთი	1	1	2	4
ფინეთი	1	1	1	3
ესტონეთი	1	1	-	2
მონღოლეთი	1	1	-	2
ბრაზილია	1	-	5	6
არგენტინა	1	-	1	2
ბაჰრეინი	1	-	-	1
კამერუნი	1	-	-	1
ინდოეთი	1	-	-	1
პანამა	1	-	-	1
ტაილანდი	1	-	-	1
ტუნისი	1	-	-	1
უნგრეთი	-	4	1	5
შვედეთი	-	3	-	3
თურქეთი	-	2	1	3
უზბეკეთი	-	1	3	4
ავსტრია	-	1	2	3
საბერძნეთი	-	1	2	3
ლიტვა	-	1	2	3
ალჟირი	-	1	1	2
კოლუმბია	-	1	1	2
ხორვატია	-	1	1	2
ყირგიზეთი	-	1	1	2
სერბეთი	-	1	1	2
ჩილე	-	1	-	1
ეკვადორი	-	1	-	1
მალაიზია	-	1	-	1
პორტუგალია	-	1	-	1
სინგაპური	-	1	-	1
სამხ. აფრიკა	-	1	-	1
ტრინ. და ტობაგო	-	1	-	1
ვიეტნამი	-	1	-	1
სომხეთი	-	-	5	5
ტაივანი	-	-	2	2
ეგვიპტე	-	-	1	1
ირანი	-	-	1	1
ლატვია	-	-	1	1
მექსიკა	-	-	1	1
მაროკო	-	-	1	1
ტაჯიკეთი	-	-	1	1
ტოგო	-	-	1	1

ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲠᲘᲒᲘ

20 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ. ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ

ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ქალები — 400 მ თარჯრბენი — ფინალი
ქალები — უროს ტყორცნა — ფინალი
ქალები — 200 მ — ნახევარფინალი
კაცები — 200 მ — ფინალი
კაცები — 800 მ — კვალიფიკაცია
კაცები — 5000 მ — კვალიფიკაცია
კაცები — ჭოკით ხტომა — კვალიფიკაცია
კაცები — 110 მ თარჯრბენი — ნახევარფინალი

ᲑᲔᲘᲡᲑᲝᲚᲘ

ჯგუფური ეტაპის VII ტური

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

კაცები — მეოთხედფინალი

ᲞᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘ

კაცები — ნახევარფინალი

ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘ

კაცები — მეოთხედფინალი

ᲙᲠᲘᲙᲘ

51 კგ — მეოთხედფინალი
75 კგ — მეოთხედფინალი

ᲑᲐᲘᲓᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲝᲔ

ქალები — ოთხადგილიანი ბაიდარა, 500 მ — ნახევარფინალი
კაცები — ერთადგილიანი ბაიდარა, 1 000 მ — ნახევარფინალი
კაცები — ერთადგილიანი კანოე, 100 მ — ნახევარფინალი
კაცები — ორადგილიანი ბაიდარა, 1 000 მ — ნახევარფინალი
კაცები — ორადგილიანი კანოე, 1 000 მ — ნახევარფინალი
კაცები — ოთხადგილიანი ბაიდარა, 1 000 მ — ნახევარფინალი

ᲕᲔᲚᲝᲠᲑᲝᲚᲐ. BMX

ქალები — კვალიფიკაცია
კაცები — კვალიფიკაცია, მეოთხედფინალი

ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲮᲢᲝᲛᲐ

ქალები, პირადი — 10-მეტრიანი კოშკი — კვალიფიკაცია

ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲜᲝᲑᲐ

კონკური — პირადი — ფინალი

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ

კაცები — მეოთხედფინალი

ᲑᲐᲚᲐᲮᲘᲡ ᲰᲝᲙᲔᲘ

ქალები — მეოთხედფინალი

ᲐᲤᲠᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ქალები — ვინდსერფი — ფინალი
კაცები — ვინდსერფი — ფინალი
კაცები — ვარსკვლავი — მე-9 და მე-10 გაცურვა
მიქსტი — ტორნადო — მე-9 და მე-10 გაცურვა

ᲡᲝᲤᲢᲑᲝᲚᲘ

ნახევარფინალური მატჩები

ᲪᲣᲠᲕᲐ (ᲚᲘᲐ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ)

ქალები — 10 კმ — ფინალი

ᲡᲘᲜᲥᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲪᲣᲠᲕᲐ

წყვილები — ფინალი

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ

კაცები — მეოთხედფინალი

ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ქალები, პირადი — მეორე და მესამე წრის მატჩები
კაცები, პირადი — მეორე და მესამე წრის მატჩები

ᲢᲐᲔᲙᲕᲐᲜᲓᲝ

ქალები — 49 კგ — ფინალი
კაცები — 58 კგ — ფინალი

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

კაცები — 55 კგ — ფინალი
კაცები — 60 კგ — ფინალი

ოქრო, ბევრი ოქრო

რეი იურიდან მაიკლ ფელპსამდე

რეი იური

მაიკლ ფელპსი	(ცურვა, აშშ)	14
რეი იური	(მძლეოსნობა, აშშ)	10 (8)
ლარისა ლატინინა	(ტანვარჯიში, სსრკ)	9
ჰაავო ნურმი	(მძლეოსნობა, ფინეთი)	9
კარლ ლუისი	(მძლეოსნობა, აშშ)	9
მარკ სპიცი	(ცურვა, აშშ)	9
მეტ ბიონდი	(ცურვა, აშშ)	8
სავაო კატო	(ტანვარჯიში, იაპონია)	8
ნიკოლაი ანდრიანოვი	(ტანვარჯიში, სსრკ)	7
ვერა ჩასლავსკა	(ტანვარჯიში, ჩეხოსლოვაკია)	7
ალადარ გურევიჩი	(ფარიკაობა, უნგრეთი)	7
ვიქტორ ჩუკარინი	(ტანვარჯიში, სსრკ)	7
ბორის შახლინი	(ტანვარჯიში, სსრკ)	7

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც იქნა, ყველაფერი დალაგდა. იმას მოგახსენებთ, რომ ამერიკელმა მოცურავე მაიკლ ფელპსმა ყველაზე მეტი ოლიმპიური ოქროს მფლობელთა სიაში სიცხადე შეიტანა.

ფელპსამდე, რომელმაც ამ ოლიმპიადაზე 8 ოქრო მოიგო და ათენში მოგებულ ექვსს მიუმატა, ძნელი გასარკვევი იყო, თუ ვინ გახლდათ პლანეტის ყველაზე ტიტულოვანი ოლიმპიური ჩემპიონი.

საქმე ის არის, რომ ამერიკელ მძლეოსანს, ადგილიდან სიმაღლესა და სირძეზე ხტომის უბადლო ოსტატს, რეი იურის, ვინაც თავისი პირველი ოლიმპიური ოქრო 1900 წელს მოიგო, ოქროების გასწვრივ ზოგ წყაროში 10 უწერია, ზოგ წყაროში კი — 8. განსხვავება, როგორც ხედავთ, ორ ოქროს მედალშია, რომლებიც იურიმ 1906 წლის ათენის რიგგარეშე ოლიმპიურ თამაშებზე მოიგო. მაგრამ იმ ოლიმპიადის შედეგებს, როგორც წესი, საერთო ჩათვლაში არ ანგარიშობენ. ამიტომაც, ის ორი ოქრო იურის ოფიციალურად არ ეთვლება, მეორე მხრივ კი, მოიპოვა კაცმა...

ხოლო თუ იურის იმ ორ ოქროს არ ვუანგარიშებთ, აღმოჩნდება, რომ ფელპსამდე რეკორდსმენი ერთბაშად ოთხი ათლეტი იყო.

ფელპსმა კი, იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა იყოს სიის თავში, როგორც მოგახსენეთ, სრული სიცხადე შეიტანა.

გიორგი დარჯანია

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

გთავაზობთ
ფასდაკლებას საერთაშორისო საუბრებზე

10% - დან 30% - მდე

აირჩიეთ **ორი** ნომერი და დაარეგისტრირეთ „საქართველოს ტელეკომში“
ერთი ნომერი - ადგილობრივი, საიდანაც რეკავთ (ქალაქის ტელეფონი)
მეორე ნომერი - საზღვარგარეთ, ვისთანაც ისურვებდით ფასდაკლებით საუბარს (ქალაქის ან მობილური ტელეფონი)

რეგისტრაციისთვის:
დარეკეთ ტელეფონზე - **442020** (დარეგისტრირება უფასოა)
ან
მობრძანდითი „საქართველოს ტელეკომის“ საკომუნიკაციო და ანგარიშსწორების ცენტრებში.

რაც მთავარია ფასდაკლებით სარგებლობა შესაძლებელია

მხოლოდ **8-10**-ით

www.telecom.ge

ერა დასრულდა, ერა დაიწყო

როჯერ ფედერერი: ნადალზე ყველაფერი ალალია

რაფაელ ნადალის მსოფლიოს პირველ ჩოგნად გახდომა თავისთავად დიდი მოვლენაა, მაგრამ განსაკუთრებულია იმიტომ, რომ ამით ესპანელმა ბოლო მოუღო როჯერ ფედერერის ოთხწელიწადნახევრიან უპირობო ბატონობას. ამით ხომ მთელი ეპოქა გასრულდა, ფედერ-ერა, რომელიც ჩოგბურთის ისტორიაში უკვე ჩაიწერა ოქროს ასოებით.

საჩოგბურთო სამყაროს ამაზე ხანგრძლივი პირველი ნომრებიც ჰყოლია, მაგრამ ყველას აღიარებით, ფედერერის ეპოქა მაინც საოცარი პეწით იყო გამორჩეული — მისი უმთავრესი დამახასიათებელი თვისება კი შვეიცარიელის ერთპიროვნულობა იყო. ამ ოთხწელიწადნახევარში ალპელი უდავო პირველი ნომერი იყო, რომელსაც ვერც ერთი მეტოქე ვერ ეტოლებოდა და რომელსაც მისთვის დამახასიათებელი ლაღი თამაშის გამო უცხოპლანეტელიც უწოდეს. დიახ, ამ ოთხწელიწადნახევარში ფედერერი ერთადერთი და განუმეორებელი იყო და მიუხედავად იმისა, რომ იმავე ჯიმი კონორსმა და პიტ სამპრასმა უმაღლეს საჩოგბურთო მწვერვალზე უფრო მეტი დრო გაატარეს, „მხიარული როჯერისავით" დომინანტი ძალა ვერც ერთი ვერ იყო.

სწორედ ამის ფონზე გამოიყურება ნადალის ეს მიღწევა კიდევ უფრო მნიშვნელოვან მოვლენად, ვიდრე ჩვეულებრივ შემთხვევაში იქნებოდა. მაგრამ მოდით ესპანელსაც ნუ დავუკარგავთ გაწეულ ფანტასტიკურ შრომას და კიდევ უფრო სასწაულ მოთმინებას — ხუმრობა ხომ არ არის, რაფა ზედიზედ 160 კვირა ედგა კვალში შვეიცარიელს და დროის ამ ვებერთელა მონაკვეთში ერთხელაც არ შემდრკალა, ერთხელაც არ ჩაუქნევია ხელი თავის ოცნებაზე. მალიორკელი შესაშური სტაბილურობით პროგრესირებდა და ნელ-ნელა ამცირებდა იმ სხვაობას, რაც მასსა და ფედერერს შორის იყო.

ისე, ჩვენში დარჩეს და მართლაც ძალიან საინტერესო გამოდგა ნადალის საჩოგბურთო ზრდის ცქერა — თანდათანობით თუ როგორ გადაიქცა ერთი საფარის მეჩოგნედ შერაცხული ესპანელი მრავალპროფილიან და უნივერსალ ჩოგბურთელად, რომელიც დღეისთვის ყველა საფარზე ერთნაირად სახიფათოა და ნებისმიერ ტურნირზე ტიტულის უმთავრესი მაძიებელია.

ჯერ კიდევ ორი წლის წინ, უიმბლდონის ფინალში პირველად გასვლით დაგვანახა ნადალმა, რომ არ აპირებდა მხოლოდ „თიხნარის მეფედ" დარჩენას. მართალია, რაფამ მაშინ სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწია ფედერერს, მაგრამ ყველას და პირველ რიგში თავის თავს დაუმტკიცა, რომ გრუნტის გარდა სხვა საფარზეც შეეძლო წარმატებულად თამაში. უკვე შარშან კი დავრწმუნდით, რომ ესპანელი სერიოზული ტემპით პროგრესირებდა და ეს ისევ უიმბლდონზე მოხდა, სადაც მალიორკელმა ლონდონში ხუთი წლის განმავლობაში დაუმარცხებელი შვეიცარიელი კინაღამ ბეჭებზე გააკრა და ამასთან ახლოსაც იყო, მაგრამ გადამწყვეტი სეტის წინ ფეხი გადაუბრუნდა და ამის გამო ისევ მეორე დარჩა.

თუმც ამ წლის დაწყებისთანავე ვნახეთ, რომ რაფა უკვე სერიოზულად იყო დაგეშილი ფედერერის მეფობის დასამხობად. ეს ჯერ კიდევ ავსტრალიაში გამოჩნდა, სადაც ესპანელმა საკმაოდ დამაჯერებლად ითამაშა. მაგრამ ჟო-ვილფრედ ცონგასთან წაგების გამო რაფა ისევ ჩამოწერეს და განაცხადეს, ამ ბიჭმა ჰარდზე თამაში ისევ ვერ ისწავლაო. თუმც ძნელია ფრანგთან წაგება ნადალს პასივში ჩაუთვალო, რადგანაც იმ შეხვედრაში ცონგამ კარიერის შეხვედრა ჩაატარა და იმდენად უნაკლო თამაში აჩვენა, რომ კორტზე ორი ნადალიც რომ მდგარიყო, გალი მაინც იმარჯვებდა.

ესპანელის ტრიუმფალური სვლა კი მაინც მისი საყვარელი თიხნარიდან დაიწყო — რაფამ ჯერ მონტე კარლოს მასტერსზე იჩემპიონა, რასაც მალევე ბარსელონა მოჰყვა. ამის შემდეგ კი იყო რომის მასტერსი, რომელზეც ესპანელმა წლეულს პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად მართლაც თვალშისაცემად წაიფორხილა.

აი, აქედან დაიწყო და რა დაიწყო — ზედიზედ მოგებული 32 მატჩი და უმაღლესი ტიტულები. ჰამბურგის მასტერსი და ზედიზედ მეოთხედ მოგებული „როლან გაროსი", რომლის ფინალში რაფამ ფედერერი უბრალოდ დაამცირა. მალიორკელმა თავისი სუპერ-სერია ბალახზეც გადაიტანა და ქუინზში იხეირა, რასაც მისი კარიერის ალბათ ყველაზე ლამაზი მომენტი მოჰყვა. საუბარი თავისთავად, მოგებულ უიმბლდონზე და ფედერერთან ჩატარებულ ეპიკურ ფინალზე გვაქვს — ბევრმა ხომ ის მატჩი ლამის ყველა დროის ულამაზეს დაპირსპირებად შერაცხა. შედეგად, თითქმის 30 წლის განმავლობაში ესპანელი პირველ მეჩოგნედ იქცა დიდი ბიორნ ბორგის შემდეგ, რომელმაც ერთ სეზონში სლემტიტულის მოგება შეძლო როგორც თიხნარზე, ისე ბალახზე.

აქ ნადალი რეიტინგის პირველ საფეხურს ხელის გაწვდენაზე მიუახლოვდა და დიდ ხანს არ დააყოვნა — კიდევ ერთი ოცნებას ესპანელმა ხელი ჩრდილო ამერიკულ მასტერსებზე წაავლო, როცა ტორონტოში ჩემპიონობითა და ცინცინატის ფინალში გასვლით რაფამ დე იურე ბოლო მოუღო ალპელის მეფობას. დე ფაქტო კი ეს გუშინწინ გაფორმდა და მალიორკელმა ესეც მეფურად აღნიშნა, როცა წლეულს მოგებულ ნაირ-ნაირ ტიტულებს ოლიმპიური ოქროს მიუმატა.

ასე რომ, ნადალი ფედერერის ღირსეული მემკვიდრეა. საკითხავი მხოლოდ ისაა, თუ რამდენ ხანს შეძლებს ესპანელი თავისი ახალი სტატუსის შენარჩუნებას. ახალ რანგში რაფას პირველი სერიოზული ტესტი უკვე მომდევნო კვირას ელოდება, როცა ნიუ იორკის „ფლეშინგ მედოუზის" კორტებზე წლის ბოლო სლემტურნირი დაიწყება.

თუმც ეს ყველაფერი მაინც მომავლის საქმეა და რაიმეს წინასწარ თქმა მარჩიელობას დაემსგავსება — ამას სჯობს, ისევ აწმყოში გადმოვინაცვლოთ და რაფას ქება გავაგრძელოთ. მაგრამ ჩვენ აქაც შევიკავებთ თავს და ასპარეზს ჩოგბურთის ყოფილ ლეგენდებსა და ერთ დროს მსოფლიოს პირველ ჩოგნებს ვუთმობთ, რომლებმაც ესპანელისთვის თბილი სიტყვები არ დაიშურეს:

როჯერ ფედერერი — „რაფამ ეს აბსოლუტურად დაიმსახურა. ყველაფერი მოხდა ისე, როგორც მინდოდა — ასე მსურდა მას შემდეგ, რაც თავად გავხდი პირველი ჩოგანი, რომ ვინც წამართმევდა ამ სტატუსს, მას ძალიან დატვირთული კალენდარით უნდა ეთამაშა, მოეგო უდიდესი ტურნირები, დომინანტ ძალად ქცეულიყო და მხოლოდ ამის შემდეგ მოეპოვებინა პირველი ჩოგნის სტატუსი. ასე რომ, რაფაზე ყველაფერი ალალია".

შტეფან ედბერგი — „ნადალი ბრწყინვალე ჩოგბურთელია, საოცარი ქარიზმითა და სასწაული ბრძოლისუნარიანობით. ის ღირსეული პირველი ნომერია. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი უიმბლდონური ფინალი მოიგო, თანაც საფრანგეთის ღია პირველობის მოგების შემდეგ".

გუსტავო კუერტენი — „პირველ ჩოგნად გახდომა ნებისმიერისთვის უმაღლესი მიღწევაა. რაფამ ეს კარგა ხანია დაიმსახურა. ფედერერს კი დიდი წვლილი მიუძღვის ნადალის პროგრესში, რადგანაც სწორედ შვეიცარიელთან ქიშპი იყო მისი უმთავრესი მამოძრავებელი ძალა. მგონია, რომ ნადალი ამ პოზიციას კიდევ კარგა ხანს შეინარჩუნებს. ეს რაფასთვის მართლაც საოცარი მოტივაცია იქნება".

როდ ლეივერი — „ნადალს საოცარი უიმბლდონი ჰქონდა, სადაც მან ურთულესი ფინალი მოიგო. ის ღირსეული პირველი ჩოგანია. ფედერერის ოთხწლიანი დომინირება კი ჩოგბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ეპოქა იყო. იმედია, ნადალი წარმატებულ სვლას მომავალშიც გააგრძელებს, თუმც აშშ-ს ღია პირველობა ორივესთვის დიდი ტესტი იქნება".

ჯონ მაკინროი — „რაფამ დაგვარწმუნა, რომ ფედერერიც ადამიანი ყოფილა. შვეიცარიელის ოთხწლიანი ბატონობა კი ყველაზე შთამბეჭდავი რამ იყო ღია ერის ჩოგბურთის ისტორიაში. ნადალმა ბოლო წელიწად-წელიწადნახევარში გასაოცარი პროგრესი განიცადა და დაამტკიცა, რომ მხოლოდ ერთი საფარის ჩოგბურთელი არ ყოფილა. მან ყველაფერი დაიმსახურა".

კარლოს მოია — „რაფა პირველობას უკვე სამი წელია იმსახურებს, მაგრამ ფედერერი სხვა სამყაროს წარმომადგენელს ჰგავდა და ნადალსაც ამიტომ მოუწია ამდენ ხანს მოცდა. დღეისთვის კი როჯერი უფრო ადამიანური გახდა, მეორეს მხრივ რაფამაც მოუმატა".

პიტ სამპრასი — „ის ნამდვილი მეომარია და მე მართლაც აღფრთოვანებული ვარ მისით. მას საუკეთესო სეზონი აქვს და დღეისთვის უდავო პირველი ნომერია. თანაც დაუკვირდით, მხოლოდ 22 წლისაა. მართლაც გასაოცარია თუ რამდენს მიაღწია მან ასეთ ასაკში და ვფიქრობ, მომავლში მხოლოდ მოუმატებს".

ნადალი კი რიგით უკვე 24-ე ჩოგბურთელია, ვინც პირველ ჩოგნად გახდომა მოახერხა. ქვემოთ კი გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც ნაჩვენებია ყველა პირველი ჩოგანი, ასევე თარიღი, როცა მათ გაპირველება შეძლეს, რა ასაკისა იყვნენ ამ მომენტში და რამდენი კვირა შეძლეს უმაღლეს საჩოგბურთო მწვერვალზე გაჩერება. ვფიქრობთ, არცთუ უინტერესო უნდა იყოს:

კახა ლომაშვილი

	გაპირველების თარიღი	ასაკი	კვირა
რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	18, აგვისტო, 2008 წელი	22 წელი, 2თვე	1
როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	2 თებერვალი, 2004 წელი	22 წელი, 2თვე	237
ენდი როდიკი (აშშ)	3 ნოემბერი, 2003 წელი	21 წელი, 2 თვე	13
ხუან-კარლოს ფერერო (ესპანეთი)	8 სექტემბერი, 2003 წელი	23 წელი, 6 თვე	8
ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	19 ნოემბერი, 2001 წელი	20 წელი, 8 თვე	80
გუსტავო კეურტენი (ბრაზილია)	4 დეკემბერი, 2000 წელი	24 წელი, 2 თვე	43
მარატ საფინი (რუსეთი)	20 ნომბერი, 2000 წელი	20 წელი, 9 თვე	9
პატრიკ რაფტერი (ავსტრალია)	26 ივნისი, 1999 წელი	26 წელი, 8 თვე	1
ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი)	3 მაისი, 1999 წელი	25 წელი, 2 თვე	6
კარლოს მოია (ესპანეთი)	15 მარტი, 1999 წელი	22 წელი, 6 თვე	2
მარსელო რიოსი (ჩილე)	30 მარტი, 1998 წელი	22 წელი, 3 თვე	6
ტომას შუსტერი (ავსტრია)	12 თებერვალი, 1996 წელი	28 წელი, 4 თვე	6
ანდრე აგასი (აშშ)	10 აპრილი, 1995 წელი	24 წელი, 11 თვე	101
პიტ სამპრასი (აშშ)	12 აპრილი, 1993 წელი	21 წელი, 8 თვე	286
ჯიმ კურიე (აშშ)	10 თებერვალი, 1992 წელი	21 წელი, 5 თვე	58
ბორის ბეკერი (გერმანია)	28 იანვარი, 1991 წელი	23 წელი, 5 თვე	12
შტეფან ედბერგი (შვედეთი)	13 აგვისტო, 1990 წელი	24 წელი, 9 თვე	72
მატს ვილანდერი (შვედეთი)	12 სექტემბერი, 1988 წელი	24 წელი, 1 თვე	20
ივან ლენდლი (ჩეხეთი-აშშ)	28 თებერვალი, 1983 წელი	22 წელი, 11 თვე	270
ჯონ მაკინროი (აშშ)	3 მარტი, 1980 წელი	21 წელი, 15 დღე	170
ბიორნ ბორგი (შვედეთი)	23 აგვისტო, 1977 წელი	21 წელი, 2 თვე	109
ჯიმი კონორსი (აშშ)	29 ივლისი, 1974 წელი	21 წელი, 11 თვე	268
ჯონ ნიუკომბი (ავსტრალია)	3 ივნისი, 1974 წელი	30 წელი, 1 თვე	8
ილიე ნასტასე (რუმინეთი)	23 აგვისტო, 1973 წელი	27 წელი, 1 თვე	40

კრისტინ ოჰურუოგუ

რაც მოგვივა სანიაო

გუშინ რაღაც სასწაულით დამარცხდა ქალთა შორის 400 მეტრზე სირბილში მსოფლიოში უძლიერესის სახელდაგდებული სანია რიჩარდსი, მაგრამ ეს სიმპატიური გოგონა — წარმოშობით იამაიკელი, პასპორტით ამერიკელი — ისე „მიეჩვია" მნიშვნელოვანი ტურნირების ჩაგდებას, რომ მოულოდნელობად აღარ აღიქმება მისი მესამე ადგილი. შარშან არ იყო, ამერიკის ჩემპიონატში საერთოდ მეოთხეზე რომ გავიდა და სულ ვერ მოხვდა მსოფლიოს ჩემპიონატზე? 2006 წლის მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსან ქალად აღიარებული რიჩარდსი 2007 წელს ოსაკაში შორიდან უცქეროდა, მის მაგივრად როგორ იჰყრობდა მსოფლიოს ბრიტანელი კრისტინ ოჰურუოგუ.

ახლა რიჩარდსმა გადაწყვიტა, თავიდანვე ყველა და ყველაფერი თავის ადგილზე დაეყენებინა, ისეთი სტარტი აიღო, 100-მეტროსნებს შესურდებოდათ და... ისევ შეეშალა გათვლები. 350 მეტრი ილიდერა, მაგრამ ბოლო სწორზე რომ გავიდა, ისეთი გამოფიტული იყო, საკითხავი ისღა რჩებოდა, რამდენი მოწინააღმდეგე გაასწრებდა. საფინიშო მეტრებზე ორმა ავჯობა სრულიად ღონემიხდილს — იამაიკელმა შერიკა ულიამსმა და რაღა თქმა უნდა, ისევ კრისტინ ოჰ ურუოგუმ, ვინაც თვალსა და ხელს შუა ართმევს ტიტულებს აშკარად უფრო ძლიერ სპორტსმენს, მაგრამ რიჩარდსმა მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს ყველაფერი.

ოჰურუოგუს ამ ოქრომ უფრო მეტად გაუმყარა დიდ ბრიტანეთს საერთო ჩათვლაში საპატიო მესამე ადგილი. ეს იყო ბრიტთა მე-16 ოქრო და ახლა ისინი ავსტრალიასა და გერმანიას 5-5, ხოლო რუსეთს 6 ოქროთი უსწრებენ.

ამერიკელებმა მაინც მოიპოვეს ოქრო, მაგრამ უკვე იმდენით ჩამორჩებიან ჩინელებს, რომ ალბათ ვეღარც დაეწევიან. ჭეშმარიტად ამერიკულ სახეობაში, ქალთა შორის 100 მეტრზე თარჯრბენის ფინალში ერთბაშად სამი ამერიკელი გავიდა. მათგან ორს ხელი მოეცარა, ოლიმპიური ჩემპიონი კი 12,54-წამიანი შედგით გახდა დონ ჰარპერი, რომელიც დიდ მძლეოსნობაში ახალი სახეა და ეს მისი პირველი ნამდვილი გამარჯვებაა.

19 აგვისტოს რუსეთმაც აიღო მძლეოსნობაში ოქრო. კაცთა შორის სიმაღლეზე ხტომაში იჩემპიონა ნაკრებში ბოლო დღეებში ლამის სკანდალურად შეყვანილმა ანდრეი სილნოვმა, ვინაც საუკეთესო ცდით 2,36 მეტრი სიმაღლე დაძლია, მერე კი იმატრაკვეცა და 2,42 მეტრს მიეძალა. ამაოდ. მეორე ადგილისთვის ბრძოლა წააგო კიდევ ერთმა რუსმა იაროსლავ რიბაკოვმა (2,34), რომელიც შვედ შტეფან ჰოლმთან ერთად უმთავრეს ფავორიტად მოიხსენიებოდა, მგრამ მას სილნოვთან ერთად მოულოდნელად ავჯობა ბრიტანელმა ჯერმენ მეისონმაც (ასევე 2,34). ჰოლმს კი სასტიკად არ გაუმართლა — ზედიზედ მეორედ აპირებდა ოლიმპიადის მოგებას, რიგიან ფორმაშიც ჩანდა, მაგრამ 2,32 სიმაღლეზე ჩარჩა და წინ გაცილებით სუსტები გაუშვა.

კაცთა შორის მსოფლიოს უძლიერესი ბადროს მტყორცნელის სახელი გაიმყარა ესტონელმა გერდ კანტერმა, ვინაც შარშან მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა, ახლა კი ოლიმპიადაზე პირველი ადგილი მოიპოვა ექვსიდან მეოთხე ცდაზე 68,92 მეტრზე ნატყორცნი ბადროს წყალობით. ლეგენდარული ლიტველი ვირგილიუს ალეკნა კი ჩანს საბოლოოდ თმობს პოზიციებს. ორი ოლიმპიადისა და ორი მსოფლიოს ჩემპიონატის მომგები ალეკნა ახლა მხოლოდ მესამე იყო 67,79-მეტრიანი ნატყორცნით. დიდი სპორტიდან წასვლის თაობაზე ჯერ არაფერი უთქვამს, მაგრამ ალბათ მალე იტყვის, ის უკვე 35 წლისაა და ახალგაზრდა, ჯან-ღონით აღსავსე მეტოქეებთან შეჯიბრი სულ მეტად და მეტად უჭირს.

19 აგვისტოს მძლეოსნობის მეხუთე და ბოლო სამედლე სახეობაში, კაცთა შორის 1500 მეტრზე სირბილში იყოჩაღა ბაჰრეინელმა რაშიდ რამზიმ, ვის აქამომდელ მთავარ მიღწევად ითვლებოდა 2005 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე 800 მეტრზე ჩემპიონობა, ამიერიდან კი ეს გამარჯვება ჩაითვლება. რამზი თითქმის მთელი გარბენი სხვათა ზურგსულან გაყურსულიყო და ახალგაზრდა კენიელ აბსელ კიპრუტო კიპროფს ლიდერობით ტკბობას აცდიდა, ძალადაზოგილმა კი ბოლო წრეზე ააჩქარა ფეხი და სტარტიდან 3 წუთსა და 32,92 წამში გადაკვეთა ფინიში. კიპროფი მეორე იყო. ბრინჯაოსთვის ბრძოლაში სრულიად მოულოდნელად დამარცხდა გამოცდილი ფრანგი მორბენალი მეჰდი ბაალა. მას არცთუ ფეხმარდი ქვეყნის, ახალი ზელანდიის სრულიად უცნობმა წარმომადგენელმა ნიკოლას უილისმა ფინიშზე 0,05 წამით შეასწრო.

ირაკლი ფიცარაძვილი

სანია რიჩარდსი

კალათბურთი

ქალები. მეოთხედფინალი

ჩინეთი — ბელარუსი 77:62; ავსტრალია — ჩეხეთი 79:46; აშშ — სამხრეთ კორეა 104:60; რუსეთი — ესპანეთი 84:65

ფრენბურთი

ქალები. მეოთხედფინალი

კუბა — სერბეთი 3:0 (26:24, 25:19, 26:24); ბრაზილია — იაპონია 3:0 (25:12, 25:20, 25:16); ჩინეთი — რუსეთი 3:0 (25:22, 27:25, 25:19); აშშ — იტალია 3:2 (20:25, 25:21, 19:25, 25:18, 15:6)

ხელბურთი

ქალები. მეოთხედფინალი

ნორვეგია — შვედეთი 31:24; უნგრეთი — რუმინეთი 34:30; სამხრეთ კორეა — ჩინეთი 31:23; რუსეთი — საფრანგეთი 32:31

წყალბურთი

ქალები. ნახევარფინალი

აშშ — ავსტრალია 9:8; ჰოლანდია — უნგრეთი 8:7

ბალახის ჰოკეი

კაცები. ჯგუფური ეტაპის V ტური

A ჯგუფი

გერმანია — ახალი ზელანდია 3:1; ესპანეთი — სამხრეთ კორეა 2:1; ბელგია — ჩინეთი 3:1

ესპანეთი 12 ქულა; გერმანია 11; სამხრეთ კორეა, ახალი ზელანდია 7-7; ბელგია 4; ჩინეთი 1;

B ჯგუფი

ჰოლანდია — პაკისტანი 4:2; კანადა — სამხრეთ აფრიკა 5:3; ავსტრალია — დიდი ბრიტანეთი 3:3

ჰოლანდია 13 ქულა; ავსტრალია 11; დიდი ბრიტანეთი 8; პაკისტანი 6; კანადა 4; სამხრეთ აფრიკა 0

ბეისბოლი

ჯგუფური ეტაპის VI ტური

კანადა — ჰოლანდია 4:0; სამხრეთ კორეა — კუბა 7:4; იაპონია — ჩინეთი 10:0; აშშ — ტაივანი 4:2

სამხრეთ კორეა 6 მოგება; კუბა 5; იაპონია, აშშ 4-4; კანადა 2; ჩინეთი, ტაივანი, ჰოლანდია 1-1

ჩინელმა ფრენბურთელებმა ნახევარფინალში რუსების გავლით გააღწიეს

ამ პრობლემებს მოგიხსნით
ტრიმოლი
სამგზავრო ტრანსპორტის ფორმულა
ცხელება, შაკიკი, თავის ტკივილი, კბილის ტკივილი, სახსრების ტკივილი, მენსტრუალური ტკივილი, ნევრალგია, ცხელებით მიმდინარე ინფექციურ-ანთებითი დაავადებები.

რეგისტრაციის № R00037/02
➤ სიცხის დამწევი
➤ ტკივილგამაყუჩებელი
➤ ანთების საწინააღმდეგო
ავჯანტა ფარმა ლიმიტედი – ინდოეთი
ტრიმოლი
PSP ფასი
ჩემი ოჯახის აფთიაქი
აღმაშენებლის გამზ. 146/ა
ყურადღებით გაეცანით სამკურნალო საშუალების გამოყენების ინსტრუქციას

ობიექტივი





დღევანდელი „ობიექტისთვის“ ოლიმპიურ იმედგაცრუებათა ფოტოები შევარჩიეთ.

გერმანელი ტანმოვარჯიშე ფაბიან ჰუმბეხენი ძელიან მოწყდა და თავადაც მიხვდებით, როგორ შეფასებასაც მიიღებდა.

69-კილოიან სამხრეთკორეელ ბაიუნგ ლის 186-კილოიანმა შტანგამ აჯობა და დააჩოქა.

ბალახის ჰოკეიში კანადელმა შუკვინდერ სინჰმა პაკისტანელებს უნაღდესი გოლი ვერ გაუტანა და ლამის ბალახის ჭამა დაიწყო.

გერმანელმა სტეფან შუმახერმა თავისი ველოსიპედი მეცამეტემ მიაგელვა ფინიშზე და გონების გასაგრილებლად შუბლზე დაიდო ყინული.

და აი, რა დაემართა უნგრელ ძალოსან იანუშ ბარანიაის. ტრავმა მართლა ძალიან მძიმეა.





სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		23 აგვისტო						
18:00	2	ლივერპული-მიდლსბრო	1.35	4.30	8.00	1.02	1.15	2.79
20:30	3	ფულემი-არსენალი	5.70	3.50	1.60	2.16	1.24	1.09
18:00	4	ბლეკბერნი-ჰალი	1.70	3.40	5.00	1.13	1.26	2.02
18:00	5	ნიუკასლი-ბოლტონი	1.70	3.40	4.75	1.13	1.25	1.98
18:00	7	ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი	3.00	3.20	2.25	1.54	1.28	1.32
18:00	8	ტოტენჰემი-სანდერლენდი	1.50	3.60	6.50	1.05	1.21	2.31
18:00	9	სტოკი-ასტონ ვილა	4.60	3.40	1.75	1.95	1.26	1.15
		24 აგვისტო						
19:00	1	სიტი-ვესტ ჰემი	2.20	3.30	3.00	1.32	1.26	1.57
16:30	6	უიგანი-ჩელსი	6.50	4.00	1.45	2.47	1.18	1.06
		25 აგვისტო						
23:00	10	პორტსმუთი-მანჩესტერი	4.70	3.40	1.75	1.97	1.27	1.15
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		23 აგვისტო						
18:00	11	ნოტინგემი-უოტფორდი	2.40	3.20	2.75	1.37	1.28	1.47
20:20	12	პლიმუთი-სუონსი	2.10	3.20	3.25	1.26	1.27	1.61
18:00	13	ქპრ-დონკასტერი	1.65	3.50	4.75	1.12	1.22	2.01
18:00	14	ბირმინგემი-ბარნსლი	1.45	3.70	7.50	1.04	1.21	2.47
18:00	15	უენსდი-პრესტონი	2.50	3.20	2.60	1.40	1.27	1.43
18:00	16	ბლეკპული-შეფილდი	2.75	3.20	2.40	1.47	1.28	1.37
18:00	17	კარდიფი-ნორვიჩი	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
15:45	18	ჩარლტონი-რიდინგი	2.40	3.20	2.75	1.37	1.28	1.47
18:00	19	ქოვენთრი-ბრისტოლი	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
18:00	20	კრისტალ პალასი-ბარნლი	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
18:00	21	დერბი-საუთჰემპტონი	1.65	3.50	4.80	1.12	1.22	2.02
18:00	22	იფსვიჩი-ვულვერჰემპტონი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
		ინგლისი. I ლიგა						
		23 აგვისტო						
18:00	23	სკანთორპი-პიტერბრო	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
22:45	24	საუთენდი-ბრაიტონი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
18:00	25	სუინდონი-კოლჩესტერი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
18:00	26	როვერსი-ჰერეფორდი	1.90	3.20	3.75	1.19	1.26	1.72
16:00	27	იოვილი-ლიდსი	3.00	3.20	2.20	1.54	1.26	1.30
18:00	28	ქრიუ-უელსოლი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
18:00	29	ჰარტლპული-სტოკპორტი	1.90	3.20	3.75	1.19	1.26	1.72
18:00	30	ჰადერსფილდი-დონსი	1.90	3.20	3.75	1.19	1.26	1.72
18:00	31	ლესტერი-ტრანმერი	1.60	3.40	6.00	1.08	1.26	2.17
18:00	32	ლეიტონი-კარლაილი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
18:00	33	ნორთჰემპტონი-მილუოლი	1.90	3.20	3.75	1.19	1.26	1.72
18:00	34	ოლდემი-ჩელტენემი	1.70	3.50	4.35	1.14	1.22	1.93
		ინგლისი. II ლიგა						
		23 აგვისტო						
18:00	36	აკრინგტონი-მაკლესფილდი	1.90	3.20	3.75	1.19	1.26	1.72
18:00	37	ბარნეტი-ბრენტფორდი	2.50	3.20	2.60	1.40	1.27	1.43
18:00	38	ბორნმუთი-ექსეტერი	1.70	3.50	4.30	1.14	1.21	1.92
18:00	39	ბრედფორდი-როჩდეილი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
18:00	40	ბერი-მორეკომბი	1.70	3.50	4.30	1.14	1.21	1.92
18:00	41	დაგ ენდ რედი-პორტ ვეილე	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
18:00	42	დარლინგტონი-ჯილინგემი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
18:00	43	ლუტონი-ნოტსი	1.70	3.50	4.30	1.14	1.21	1.92
18:00	44	როტერჰემი-ჩესტერი	1.50	3.70	6.00	1.06	1.20	2.28
18:00	45	შრიუსბერი-ალდერშოტი	1.55	3.60	5.50	1.08	1.20	2.17
18:00	46	უიკომბი-ლინკოლნი	1.70	3.40	4.75	1.13	1.25	1.98

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. კონფერენსი						
		21 აგვისტო						
22:45	48	რექსემი-ოქსფორდი	2.10	3.40	3.30	1.29	1.28	1.67
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		23 აგვისტო						
15:30	92	აბერდინი-რეინჯერსი	4.50	3.60	1.65	2.00	1.20	1.13
18:00	93	სელტიკი-ფოლკირკი	1.15	6.50	12.00	1.00	1.04	4.21
18:00	94	ჰართსი-სტ.მირენი	1.60	3.60	5.00	1.10	1.21	2.09
18:00	95	ინვერნესი-ჰიბერნიანი	2.50	3.20	2.60	1.40	1.27	1.43
18:00	96	კილმარნოკი-ჰამილტონი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
18:00	97	მოზერუელი-დანდი იუნაიტედი	2.35	3.20	2.75	1.35	1.26	1.47
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		23 აგვისტო						
18:00	98	დანდი-მორტონი	1.55	3.80	5.00	1.10	1.18	2.15
18:00	99	დანფერმლაინი-ერდრი	1.60	3.70	4.70	1.11	1.19	2.07
18:00	100	ლივინგსტონი-კლაიდი	1.80	3.40	4.00	1.17	1.24	1.83
18:00	101	პარტიკი-სტ.ჯონსტონი	2.40	3.40	2.60	1.40	1.24	1.47
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		23 აგვისტო						
18:00	103	არბროთი-ისტ ფაიფი	2.40	3.40	2.60	1.40	1.24	1.47
18:00	104	პიტერჰედი-ალოა	1.70	3.60	4.00	1.15	1.19	1.89
18:00	105	ქუინზ პარკი-ბრეჩინი	2.50	3.30	2.50	1.42	1.25	1.42
18:00	106	რეითი-სტრანრარი	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21
18:00	107	სტირლინგი-ეარი	2.75	3.40	2.25	1.52	1.23	1.35
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		23 აგვისტო						
18:00	108	ალბიონი-ბერიკი	3.00	3.40	2.10	1.59	1.23	1.29
18:00	109	დამბარტონი-სტენჰაუზმური	2.00	3.40	3.20	1.25	1.23	1.64
18:00	110	ისტ სტირლინგი-ფორფარი	2.25	3.40	2.75	1.35	1.23	1.52
18:00	111	ელგინი-კოუდენბითი	3.00	3.40	2.10	1.59	1.23	1.29
18:00	112	მონტროუზი-ანანი	1.90	3.40	3.50	1.21	1.23	1.72
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		23 აგვისტო						
17:30	113	ჰამბურგი-კარლსრუე	1.40	4.00	7.50	1.03	1.17	2.60
17:30	114	შტუტგარტი-ლევერკუზენი	2.00	3.30	3.60	1.24	1.28	1.72
22:30	115	ჰანოვერი-კოტბუსი	1.60	3.60	5.00	1.10	1.21	2.09
17:30	116	ჰერტა-არმინია	1.65	3.60	4.50	1.13	1.20	2.00
17:30	118	დორტმუნდი-ბაიერნი	3.10	3.20	2.15	1.57	1.26	1.28
17:30	119	ჰოფენჰაიმი-მიონხენგლადბახი	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
17:30	121	ვერდერი-შალკე	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
		24 აგვისტო						
19:00	117	ბოხუმი-ვოლფსბურგი	3.00	3.20	2.30	1.54	1.30	1.33
19:00	120	კიოლნი-აინტრახტი	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		23 აგვისტო						
21:30	142	ალტახი-აუსტრია კერნტენი	2.40	3.20	2.70	1.37	1.27	1.46
21:30	144	ზალცბურგი-რიდი	1.22	5.50	10.00	1.00	1.08	3.54
21:30	145	შტურმი-ლინცერი	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80
21:30	146	მატერსბურგი-კაფენბერგი	1.65	3.50	5.00	1.12	1.24	2.05
		24 აგვისტო						
19:00	143	რაპიდი-აუსტრია	2.25	3.20	3.00	1.32	1.28	1.54
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		23 აგვისტო						
21:00	167	ლე ჰავრი-მარსელი	3.60	3.00	2.05	1.63	1.30	1.21
21:00	168	ლე მანი-სტ.ეტიენი	2.30	3.00	3.00	1.30	1.30	1.50
23:00	169	ლიონი-გრენობლი	1.30	4.50	10.00	1.00	1.15	3.10

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	170	მონაკო-კაენი	1.75	3.20	4.70	1.13	1.27	1.90
21:00	171	ნანსი-ტულუზი	1.85	3.10	4.20	1.15	1.28	1.78
21:00	173	სოშო-პსჟ	2.70	2.90	2.60	1.39	1.32	1.37
21:00	174	ვალენსიენი-ლორიანი	2.20	2.90	3.40	1.25	1.33	1.56
		24 აგვისტო						
23:00	166	ბორდო-ნანტი	1.50	3.60	6.50	1.05	1.21	2.31
18:00	172	რენი-ლილი	2.15	2.90	3.50	1.23	1.33	1.58
18:00	175	ოსერი-ნიცა	2.10	3.00	3.50	1.23	1.31	1.61
		ბელგია. I დივიზიონი						
		23 აგვისტო						
22:00	196	ანდერლეხტი-გენტი	1.55	3.60	6.00	1.08	1.23	2.25
20:00	197	სტანდარდი-ვესტერლო	1.37	4.30	7.50	1.03	1.15	2.73
22:00	199	შარლეროა-რუზელარე	1.85	3.20	4.35	1.17	1.29	1.84
22:00	200	ლოკერენი-ტუბეკუ	1.85	3.20	4.30	1.17	1.29	1.83
22:00	201	მუსკრონი-მეხელენი	2.15	3.20	3.25	1.28	1.29	1.61
22:00	202	კორტრაიკი-სერკლი	2.85	3.20	2.30	1.50	1.27	1.33
22:00	203	ბეერსხოტი-დენდერი	1.75	3.40	4.50	1.15	1.25	1.93
		24 აგვისტო						
20:00	198	მონსი-გენკი	2.75	3.20	2.40	1.47	1.28	1.37
22:30	204	ბრიუგე-ვარეგემი	1.45	3.70	7.50	1.04	1.21	2.47
		პორტუგალია. სუპერლიგა						
		22 აგვისტო						
23:30	220	გიმარაეში-სეტუბალი	1.90	3.20	3.80	1.19	1.26	1.73
		23 აგვისტო						
23:45	218	სპორტინგი-ტროფენსე	1.25	5.00	12.00	1.00	1.13	3.52
21:15	219	ფერეირა-ბრაგა	3.20	3.00	2.20	1.54	1.30	1.26
		24 აგვისტო						
22:15	215	პორტუ-ბელენენსეში	1.30	4.50	8.50	1.00	1.12	2.94
23:55	216	რიუ ავე-ბენფიკა	5.50	3.50	1.55	2.13	1.20	1.07
19:00	217	ამადორა-აკადემიკა	2.25	3.00	3.10	1.28	1.30	1.52
20:00	221	ნავალი-მარიტიმუ	2.40	3.00	2.85	1.33	1.30	1.46
20:00	222	ლეიშოეში-ნასიონალი	2.30	3.00	3.00	1.30	1.30	1.50
		შვედეთი. ალსვენსკა						
		23 აგვისტო						
18:00	315	ნორჩიოპინგი-გიოტებორგი	4.00	3.40	1.90	1.83	1.28	1.21
		24 აგვისტო						
20:00	316	ლიუნგსკილე-სუნდსვალი	2.35	3.30	2.85	1.37	1.28	1.52
20:00	318	იორებრო-ელფსბორგი	3.70	3.30	2.00	1.74	1.29	1.24
20:00	319	გაის-კალმარი	3.40	3.30	2.10	1.67	1.29	1.28
20:00	320	ჰალმსტადი-იურგორდენი	2.50	3.20	2.75	1.40	1.30	1.47
		25 აგვისტო						
22:00	321	აიკ-ჰამარბი	2.35	3.20	3.00	1.35	1.31	1.54
21:00	322	მალმიო-ტრელებორგი	1.60	3.60	6.00	1.10	1.26	2.25
		ფინეთი. ვაიკაუსლიგა						
		22 აგვისტო						
19:30	336	ლაჰტი-ტამპერე	2.10	3.30	3.30	1.28	1.28	1.64
		23 აგვისტო						
18:00	337	ჰაკა-ჰონკა	2.30	3.20	2.90	1.33	1.28	1.52
		აშშ. MLS						
		21 აგვისტო						
03:30	363	ნიუ ინგლენდი-ვაშინგტონი	1.85	3.20	3.75	1.17	1.23	1.72
05:00	364	ჰიუსტონი-ჩივასი	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
06:00	365	ლოს ანჯელესი-ჩიკაგო	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
		ბრაზილია. ჩემპიონატი						
		21 აგვისტო						
02:30	390	ვიტორია-სპორტ რისიფე	1.65	3.40	4.60	1.11	1.21	1.95
03:30	393	სან პაულუ-ატლეტიკო პრ	1.35	4.00	7.60	1.00	1.14	2.62
02:30	394	კურიტიბა-ფიგეირენსე	1.65	3.40	4.60	1.11	1.21	1.95
05:00	395	ნაუტიკო-ფლუმინენსე	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
03:30	396	ბოტაფოგო-კრუზეირო	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
05:00	398	ინტერნასიონალი-პალმეირასი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
05:00	399	იპატინგა-სანტოსი	2.40	3.10	2.65	1.35	1.25	1.42
		22 აგვისტო						

			1	X	2	1-X	1-2	X-2
03:30	391	ატლეტიკო მნ-გოიასი	1.80	3.30	3.85	1.16	1.22	1.77
03:30	392	პორტუგესა-ვასკუ და გამა	1.85	3.20	3.80	1.17	1.24	1.73
03:30	397	ფლამენგო-გრემიო	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44
		ჩილე. აპერტურა						
		21 აგვისტო						
03:00	410	უნ.ჩილე-უ.კონსეპსიონი	1.35	3.90	7.20	1.00	1.13	2.52
04:00	516	მელიპილა-ჰიგინსი	2.95	3.10	2.15	1.51	1.24	1.26
		მხ. შესარჩევი მატჩები						
		21 აგვისტო						
03:30	519	კანადა-იამაიკა	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
04:30	520	კუბა-ტრინიდადი და ტობაგო	2.85	3.10	2.30	1.48	1.27	1.32
04:00	521	გვატემალა-აშშ	4.85	3.40	1.65	1.99	1.23	1.11
05:00	522	მექსიკა-ჰონდურასი	1.30	4.50	8.30	1.00	1.12	2.91
06:00	523	კოსტა რიკა-სალვადორი	1.40	4.00	6.50	1.03	1.15	2.47
		საერთაშორისო ამხანაგური მატჩები						
		20 აგვისტო						
20:00	451	ფინეთი-ისრაელი	2.15	3.10	2.85	1.26	1.22	1.48
20:00	452	უნგრეთი-ჩერნოგორია	1.60	3.40	4.50	1.08	1.18	1.93
20:00	453	უკრაინა-პოლონეთი	1.75	3.20	4.30	1.13	1.24	1.83
21:00	454	ნორვეგია-ირლანდია	2.25	3.10	2.80	1.30	1.24	1.47
21:00	455	ბელარუსი-არგენტინა	5.00	3.50	1.60	2.05	1.21	1.09
21:15	457	რუსეთი-ჰოლანდია	2.20	3.20	2.80	1.30	1.23	1.49
21:45	458	რუმინეთი-ლატვია	1.25	4.80	8.00	1.00	1.08	3.00
21:45	459	შვეიცარია-კვიპროსი	1.35	4.20	7.00	1.02	1.13	2.62
22:00	460	თურქეთი-ჩილე	1.65	3.40	4.30	1.11	1.19	1.89
22:15	461	ბოსნია-ბულგარეთი	3.10	3.20	2.05	1.57	1.23	1.24
22:15	462	დანია-ესპანეთი	3.35	3.20	1.95	1.63	1.23	1.21
22:15	463	სლოვაკეთი-საბერძნეთი	2.55	3.10	2.30	1.39	1.20	1.32
22:45	464	სლოვენია-ხორვატია	3.75	3.30	1.80	1.75	1.21	1.16
23:00	465	ინგლისი-ჩეხეთი	1.65	3.50	4.50	1.12	1.20	1.96
23:00	466	გერმანია-ბელგია	1.25	5.00	8.50	1.00	1.08	3.14
23:00	467	შოტლანდია-ჩრდ ირლანდია	1.65	3.50	4.50	1.12	1.20	1.96
23:00	468	შვედეთი-საფრანგეთი	2.75	3.20	2.25	1.47	1.23	1.32
23:45	469	ისლანდია-აზერბაიჯანი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
23:45	470	პორტუგალია-ფარერები	1.01	13.00	35.00	1.00	1.00	9.47
14:20	492	იაპონია-ურუგვაი	2.35	3.20	2.75	1.35	1.26	1.47
20:00	493	ესტონეთი-მალტა	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
20:00	494	ლიტვა-მოლდოვა	2.05	3.20	3.15	1.24	1.24	1.58
22:15	495	ლუქსემბურგი-მაკედონია	6.20	3.80	1.45	2.35	1.17	1.04
22:45	496	ავსტრია-იტალია ნ	6.20	3.70	1.45	2.31	1.17	1.04
22:45	497	ალბანეთი-ლიხტენშტეინი	1.37	4.10	7.00	1.02	1.14	2.58
		უეფა. ეჩ შესარჩევი მატჩები(21)						
		20 აგვისტო						
15:00	481	ესტონეთი21-მაკედონია21	5.50	3.50	1.50	2.13	1.17	1.04
18:00	482	რუსეთი21-ესპანეთი21	2.60	3.20	2.40	1.43	1.24	1.37
18:00	483	ლიტვა21-შოტლანდია21	5.50	3.60	1.50	2.17	1.17	1.05
18:00	484	ალბანეთი21-საბერძნეთი21	2.90	3.20	2.15	1.52	1.23	1.28
20:00	485	სომხეთი21-თურქეთი21	4.80	3.50	1.60	2.02	1.20	1.09
21:00	486	უელსი21-რუმინეთი21	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
21:45	487	შვეიცარია21-ნორვეგია21	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
		ჰოლანდია. თასი						
		23 აგვისტო						
20:00	447	პსვ-ფეიენოორდი	2.10	3.30	3.20	1.28	1.26	1.62
		სამხრეთ ამერიკა. ლიბერტადორესის თასი						
		21 აგვისტო						
04:15	517	ესტუდიანტესი-ინდეპედიენტე	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60
		22 აგვისტო						
04:30	518	სან ლორენცო-არგ ხუნიორსი	1.80	3.30	3.90	1.16	1.23	1.78
		ოლიმპიადა. ფეხბურთი ქალები						
		21 აგვისტო						
14:00	498	გერმანია-იაპონია	1.50	3.60	5.40	1.05	1.17	2.16
17:00	499	ბრაზილია-აშშ	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54

შესაძლო ცვლილებები დაბაზისტთან ადგილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არგენტინამ ბრაზილია დაასამარა

ნახევარფინალი

ნიგერია 4:1 ბელგია

1:0 ადეფემი (17), 2:0, 3:0 ოგბუკე ობასი (59, 72), 4:0 ოკონკვო (78), 4:1 ლორანი (88)

ნიგერია: ვანზეკინი, ოკონკვო, აპამი, ადელეიე, ოგბუკე ობასი (აიზეკი 73), კიტა, ობინა, ოკორონკვო (ანიჩებე 57), აჯილორე (ეკპო 46), ადეფემი, ოდემვინგიე

მწვრთნელი: სამსონ სიასია

ბელგია: ბეილი, დე როვერი პოკონიოლი, დე მული (მულემო 75), ჰარუნი, მირალასი (სიმანი 75), ვერტონგენი, მარტენსი (ოდიჯა-ოფოე 63), სიმაისი, ვანდენ ბორე, დემბელე

მწვრთნელი: ჟან-ფრანსუა დე სარი

გაფრთხილება: აჯილორე, სიმაისი, ოკონკვო, ოდიჯა-ოფოე, ვერტონგენი

მსაჯი: პაბლო პოსო (ჩილე)

56 312 მაყურებელი

ბრწყინვალე გუნდური თამაშით ნიგერიამ ბელგიის სიმპათიურ ნაკრებს გადაურბინა და ოლიმპიადის ფინალში გავიდა. სამსონ სიასიას შეგირდები ჩინებულად გაისარჯნენ და სრულიად დამსახურებულად იმარჯვეს, რითაც ვერცხლის მედლები გაინაღდეს და, ცხადია, ფინალში ოქროსთვის იბრძოლებენ. ევროპელებს კი ისე ცუდად ნამდვილად არ უთამაშიათ, 1:4 რომ წაეგოთ.

„სუპერარწივებმა" რამდენიმე მწვავე მომენტი დებიუტშივე შექმნეს. შემდეგ ერთი შანსი ბელგიასაც ჰქონდა. ანგარიში კი მე-17 წუთზე გაიხსნა — ნიგერიელთა გათამაშებული კუთხურის მერე ბელგიელებმა თავიანთი საჯარიმოდან ბურთი წესიერად ვერ გამოიტანეს და ოლუბაიო ადეფემიმ დაახლოებით 16 მეტრიდან ზუსტად დაარტყა.

ევროპელებს მყისვე შეექმნათ მომენტი, მაგრამ ტომ დე მულმა ენტონი ვან დენ ბორეს გარჯა ვერ დაუფასა. იქვე სოლომონ ოკორონკოსა და პიტერ ოდემვინგიეს მიეცათ სხვაობის გაზრდის კარგი შანსები, მაგრამ მათაც ვერ ივარგეს და ტაიმი 1:0 მორჩა.

მეორე ნახევრის დაწყებისთანავე ბელგიას ორი კარგი შანსი მიეცა, თუმცა ჯერ ნიგერიელთა მეკარემ ამბუსე ვანზეკინმა იყოჩაღა, მერე კი იან ვერტონგენის დარტყმა ძელს მოხვდა.

სიასიამ მინდორზე სოლომონ ოკორონკოს ნაცვლად ვიქტორ ანიჩებე შეუშვა და არც უნანია. მან მყისვე იაქტიურა და მშვენიერი პასით გაატანინა ობასის. თუმცა იქვე „ევერტონის" თავდამსხმელმა საოცარი მომენტი ვერ გამოიყენა, „სუპერარწივების" ქომაგები უკვე მესამე გოლს ზეიმობდნენ, მაგრამ...

მესამე მაინც გავიდა — იმავე ობასიმ მარჯვენათი დიდებულად გაისროლა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს გოლი შეიძლება ერთ-ერთი საუკეთესოც გახდეს მილეულ ოლიმპიადაზე.

78-ე წუთზე კი ჩიბუზორ ოკონკვომ აქტიური ვიქტორ ობინიას გარჯა დააფასა და მეოთხეც შეაგდო. ერთადერთი, რაც ბელგიელებმა შეძლეს 88-ე წუთზე ლორენ სიმანის საჯარიმო დარტყმიდან გატანილი გოლია.

არგენტინა 3:0 ბრაზილია

1:0, 2:0 აგერო (52, 58), 3:0 რიკელმე (76პ)

არგენტინა: რომეროო, გარაი, მონსონი, საბალეტა, გაგო, რიკელმე (სოსა 90), დი მარია, პარეხა, მასკერანო, მესი, აგერო

მწვრთნელი: სერხიო ბატისტა

ბრაზილია: რენანი, რაფინია, ალექს სილვა, ერნანეში (ალეშანდრე პატო 61), მარსელო, ანდერსონი, ლუკაში, რონალდინიო, ბრენო, დიეგო (ფო 71), ლაფაელ სობისი (ტიაგუ ნევეში 61)

მწვრთნელი: კარლოს დუნგა

გაფრთხილება: საბალეტა, ბრენო, ერნანეში, პარეხა, დი მარია, ანდერსონი, რაფინია

გაძევება: ლუკაში (81), ტიაგუ ნევეში (84)

მსაჯი: მარტინ ვასკესი (ურუგვაი)

52 968 მაყურებელი

არგენტინაც და ბრაზილიაც ოლიმპიადაზე შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ, მაგრამ მათმა ურთიერთშეხვედრამ გამოაჩინა, რომ „ალბისელესტე" „სელესაუზე" ერთი თავით მაღლაა. ყოველ შემთხვევაში, გუშინდელ მატჩში ასე იყო.

დიდებულად მოთამაშე არგენტინელებმა მოძულე ბრაზილიას შანსი არ დაუტოვეს. „ალბისელესტეს" ისევ შეუჩერებელი ლიონელ მესი დირიჟორობდა. თუმცა არანაკლებ გამორჩევას იმსახურებენ სერხიო აგერო, ანხელ დი მარია, ხავიერ მასკერანო, ფერნანდო გაგო და „ალბისელესტეს" სხვა ფეხბურთელები. ბრაზილიელებს კი თითქმის არაფერი გამოუვიდათ და 22 აგვისტოს ბელგიასთან ბრინჯაოს მედლებისთვის იბრძოლებენ.

არადა, პირველი მეტ-ნაკლებად მწვავე შეტევა „სელესაუმ" განახორციელა. რაფინია მარჯვენა ფლანგზე სახიფათოდ შეიჭრა, მაგრამ სათანადო პასი არ გამოუვიდა.

ამას არგენტინელებმა რამდენიმე უფრო მწვავე შეტევით უპასუხეს, რომელთაგანაც მესის პასის შემდეგ, კარგი პოზიციიდან აგეროს არაზუსტი დარტყმა უნდა გამოვარჩიოთ. ასეა თუ ისე, პირველ ტაიმში გოლი არ გასულა.

სერხიო აგერომ და არგენტინამ ბრაზილიელებს მასტერკლასი ჩაუტარეს

მეორე ნახევარი შედარებით ნელ ტემპში დაიწყო, მაგრამ არგენტინამ უცებ იფეთქა და ბრაზილიის განადგურებას შეუდგა.

52-ე წუთზე დი მარიამ მარცხენა ფლანგზე გაგოს პასი მიიღო და კარისკენ ძლიერად ჩააწოდა (თუ დაარტყა), კუნ აგერომ კი ახლოდან მხრით გაიტანა. 58-ე წუთზე მესიმ მეორეც შეაგდო, ასევე ახლოდან, როცა ესეკიელ მარაის კროსს დაუხვდა.

რაფაელ სობისის შორეული დარტყმა ძელს მოხვდა, ბრაზილიელს ცოტა რომ გამართლებოდა, სერხიო რამოსისგან ბურთი არგენტინელთა კარში შევარდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

კარლოს დუნგამ მინდორზე ალეშანდრე პატო და ტიაგუ ნევეში შეუშვა, მაგრამ ამით ბევრი ვერაფერი შეცვალა. 65-ე წუთზე რონალდინიოს საჯარიმო დარტყმა ძელს მოხვდა, მეორე დარტყმულს პატომ კი შეუცვალა მიმართულება და კარში გადაგზავნა ბურთი, მაგრამ თამაშგარეში გახლდათ.

„ალბისელესტეს" მესამე გოლშიც ლომის წვლილი დაიდო აგერომ. მან მართლაც შეუჩერებელი მესის პასი მიიღო და მეტოქის საჯარიმოში დატრიალდა, მაგრამ იგი ბრენომ წააქცია და პენალტი დანიშნა, რომელიც „ალბისელესტეს" კაპიტანმა ხუან რომან რიკელმემ შუაში დაარტყა, მშვიდად და ზუსტად.

„სელესაუს" კოშმარი ამით არ დასრულებულა. მოკლე მონაკვეთში ხავიერ მასკერანოს ჯერ ლუკაში ეუხეშა, მერე კი ტიაგუ ნევეში და მსაჯმა ორივე მათგანს წითელი ბარათი აუფრიალა.

9 კაცით დარჩენილი ბრაზილიელები საერთოდ უსუსური სანახავები იყვნენ. არგენტინელები იმას აკეთებდნენ, რაც სურდათ და ლამაზი კომბინაციებით ცდილობდნენ მორიგი გოლის გატანას, მაგრამ ეს აღარ გამოუვიდათ და თავი აღარც მოუკლავთ.

ასე რომ, ბრაზილიელთა ოცნება კვლავ აუსრულებელი დარჩა — „სელესაოს" ჯერაც არ მოუპოვებია ოქროს მედლები ოლიმპიადაზე. არგენტინა კი 23 აგვისტოს ფინალში ნიგერიას შეებმება და, რა თქმა უნდა, ფავორიტის სტატუსის გამართლებას ყველანაირად ეცდება. თუმცა აფრიკელებს ხელწამოსაკრავი გუნდი რომ არ ჰყავთ, ესეც კარგად ვიცით.

გიორგი კაკაბაძე

ინსმა დანით შეუტია

ესპანური მედიის ცნობით, „ბლექბერნს" ვალენსიასგან" ხოაკინის ყიდვა უნდა და 9,5 მილიონი გირვანქაც გაამზადა.

ნახევარმცველი „ბლექბერნის" მწვრთნელს პოლ ინსს შეუგულებია და დევიდ ბენტლის შემცვლელად სურს.

„ვალენსიას" ვიცე-პრეზიდენტი ფერნანდო გომესი ხოაკინის აგენტს გუშინ უნდა შეხვედროდა და საკარაუდო ტრანსფერზე ესაუბრა. ესპანელი ნახევარმცველის თანაგუნდელმა ალექსისმა განაცხდა:

„არა მგონია, რომ პრემიერლიგაში გადავიდეს. აქ თავს კარგად გრძნობს და გუნდისთვის ძვირფასი ფეხბურთელია. მას არასოდეს უთქვამს, რომ „ვალენსიაში" უკმაყოფილოა.

„ბლექბერნმა" ექვსთვიანი კონტრაქტი შესთავაზა 33 წლის რობი ფაულერს და ჯამაგირსაც თამაშების და გოლების მიხედვით შეპირდა. ფორვარდი პოლ ინსთან და კლუბის პრესიდენტ ჯონ უილიამსთან შეხვედრის მერე კონტრაქტს ალბათ გააფორმებს და თუ კარგად ითამაშებს, მერე გაუხანგრძლივებენ.

ფაულერი შარშან „კარდიფში" იყო, მაგრამ თითქმის წელიწადი გაუცდა. კარდიფთან ხელშეკრულების ვადა ამოწურა და ამ ზაფხულს „ბლექბერნში" ვარჯიშობდა.

„გულიანად ვარჯისობს და მალე ფორმაში ჩადგება — ბრძანა ინსმა — დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენთვის სასარგებლო ფეხბურთელი იქნება. რობი პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსმელი იყო".

მწვრთნელმა შეაქო თავისი გუნდი, რომელმაც გასულ შაბათს „ევერტონთან" მატჩი ბოლო წუთზე მოიგო. ინსმა განსაკუთრებით დევიდ დანი გამოარჩია. მას შეტევებში ხშირად ჩართვა დაავალა და დანმაც გაამართლა. ანგარიში სწორედ მან გახსნა.

„დიდებულად ითამაშა — აღნიშნა „ბლექბერნის" თავკაცმა — გასულ სეზონში მარკ ჰიუზი უფრო დაცვას ავალებდა, მე კი დავინახე, რომ შეტევა უკეთ ეხერხება. თამაშის საკუთარ თავზე აღება შეუძლია და მომენტების შექმნაც. „ევერტონთან" ზუსტად ასე მოხდა და თანაგუნდელებისგან აშკარად გამოირჩეოდა. ვფიქრობ, თვითონაც კმაყოფილი უნდა იყოს".

ვაჟა ხუციშვილი

ხუთი ტრავმირებული ცოტა ყოფილა



ტერი ბატჩერი

დღეს ამხანაგურ შეხვედრას მართავს საქართველოს ნაკრების ყოფილი მეტოქე შოტლანდიაც. სქოთები „ჰემპდენ პარკზე" ჩრდილოირლანდიელებს ეთამაშებიან, მაგრამ, მათ სამწუხაროდ, გამოძახებულთაგან ხუთი ფეხბურთელი დაშავდა.

კერძოდ, დაშავებულები არიან სელტიკელები გერი კოლდუელი და პოლ ჰართლი, რომლებიც საქმეში კევინ მაკნოტონსა და გევინ რაეს შეურთდნენ. მეხუთე დაშავებული კი „პრესტონის" მცველი კალუმ დევიდსონი გახლავთ.

შოტლანდიის ნაკრების თავკაცის, ჯორჯ ბარლის ასისტენტი ტერი ბატჩერი, ასეთი დანაკარგის მიუხედავად, ცდილობს, იხტიბარი არ გაიტეხოს. ჟურნალისტებთან შეხვედრისას მან თქვა:

„ამჯერად მხოლოდ ხუთი დაშავებული გვყავს, ჩვეულებრივ კი რვა ან ცხრა მოთამაშე გვაკლია ხოლმე. ერთი სიტყვით, ხუთს არა უშავს და ჯორჯი ამ სურათით შეშფოთებული სულაც არ არის.

მეორე მხრივ, ცუდი ის გახლავთ, რომ ჯერ მხოლოდ სეზონის დასაწყისია, არადა ოფიციალური თამაშებისათვის ყველა მოთამაშის მიხედვა და მწყობრში ყოლა გვჭირდება. ჩვენი ექიმის მონაცემებით, ამ ხუთი მოთამაშიდან თითოეულს ისეთი ტრავმა შეემოხვა, რომ თამაში გამორიცხული იყო".

პაპუნა კედია







კაპელოს სავარაუდო გვარდია

ფაბიო კაპელო ხვალ ბოლო ამხანაგურ მატჩსაც შეხედავს და ინგლისის ნაკრებს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებაში გაუძღვება. აქამდე, ინგლისელთა იტალიელ თავკაცს მომავალზე ბევრი არ ულაპარაკია. მას არ დაუზუსტებია კონკრეტულად, რას და როგორ აპირებს, ამიტომაც „სანმა“ თავისი რუბრიკის, „ათი ყველაზეს“ საშუალებით საკითხში უფრო ღრმად ჩახედვა გადაწყვიტა. მაშ ასე, იწყება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრება, რომელიც ორ წელიწადს გასტანს და საინტერესოა, რომელ ფეხბურთელებს აქვს ნაკრების ბირთვად ქცევის ყველაზე მეტი შანსი. „სანის“ ჟურნალისტები ასეთ ათეულს ვარაუდობენ:

10 მაიკლ პარიკი

მართალია, ამ ფეხბურთელმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოვლისმპყრობელი გუნდის ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა დაგილი, ნაკრებში ფეხის მოკიდება ჯერჯერობით უჭირს. საქმე ის არის, რომ ამ ფეხბურთელს ძლიერი კონკურენტები ჰყავს — სტივენ ჯერარდი და ფრენკ ლამპარდი.

9 ეშლი იანგი

„ასტონ ვილას“ თავკაცის, მარტინ ონილის აღმოჩენაა. მთელი ინგლისი გაკვირვებული დარჩა, როდესაც ონილმა „უოტფორდს“ 10 მილიონი გირვანქა გადაუხადა, მაგრამ გავიდა არცთუ დიდი ხანი და ყველამ დაინახა, რომ ხარჯი გამართლებული აღმოჩნდა. ამ თავდამსხმელს აშკარად აქვს ნიჭი და ვერც საკუთარი თავის რწმენას დაუწუნებს კაცი, მაგრამ ჯერჯერობით თავის გამოჩენის შესაძლებლობა არ ეძლევა.

8 ჯონათან ვუდგეიტი

ჯეიმი კარაგერმა ნაკრებში თამაშს თავი დაანება, სოლ კემპბელი დაბერდა, ხოლო ლედლი კინგი სულ დაშავებულია. შესაბამისად, ვუდგეიტს ხელ-ფეხი გაეხსნა. ახლა მას შეუძლია, თამამად გაუწიოს კონკურენცია ჯონ ტერისა და რიო ფერდინანდს. „ტოტენჰემ ჰოთსფურის“ ამ მცველმა ლონდონელთა ახალი თავკაცის, ესპანელი ხუანდე რამოსის ხელში ახალი ძალით წარმოაჩინა თავი.

7 ჯო ჰართი

პოლ რობინსონმა და სკოტ კერსონმა გასულ სეზონში პოზიციები დათმეს და ინგლისის ნომერი ერთი ისევ ვეტერანი დეივიდ ჯეიმსი შეიქნა, მაგრამ „პორტსმუთის“ მეკარეს ამ პირველობის შესანარჩუნებლად გვარიანი კონკურენციის გაძლება მოუწევს და ეს კონკურენცია უპირველეს ყოვლისა ჰართისგან ელის. თუ „მანჩესტერ სიტის“ გოლკიპერმა თავის გუნდში კარგი თამაშის გაგრძელება შეძლო, დიდი შანსია, ინგლისის ნაკრების მთავარ მოთამაშედ ჩამოყალიბდეს.

6 მიკა რიჩარდსი

კაპელოს ნამდვილად არ აქვს გარანტია, რომ ვეტერანი გარი ნევილი კიდევ ორი წლის განმავლობაში შეძლებს რეგულარულად თამაშს. ბოლოს და ბოლოს, ჯანმრთელობის ამბავია, ასე რომ, იტალიელ მწვრთნელს დაცვის მარჯვენა ფრთაზე საიმედო კაცი სჭირდება. ასეთი კი რიჩადსი უნდა იყოს. მართალია, „მანჩესტერ სიტის“ ეს ფეხბურთელი ბოლო ხანს 21-წლამდელთა ნაკრების მოთამაშედ უფრო განიხილებოდა, ვიდრე დიდი ნაკრებისა, მაგრამ დიდი შანსია, მისადმი დამოკიდებულება ისევ გადაისინჯოს.

5 დინ ეშტონი

ბოლო ორი წლის განმავლობაში „ვესტ ჰემის“ თავდამსხმელი ტრავმებმა დატანჯა, მაგრამ ეშტონი გასაჭირს არ შეეგუა, ფორმა აღიდგინა და პრემიერლიგის პირველ ტურში დაამტკიცა, რომ კვლავ ანგარიშგასაწევი ძალაა. ერთი სიტყვით, დიდი შანსია, ის, როგორც ალტერნატიული ძალა, თანდათან წინა პლანზე გამოვიდეს.

4 გებრიელ აგბონლაჰორი

პრემიერლიგის პირველ ტურში „ასტონ ვილას“ ამ ფორვარდმა, რომელმაც ბოლო ორი სეზონი ჩინებულად ჩაატარა, ჰეთ თრიკი შეასრულა. მას ზოგადადაც საკმაოდ ბევრი გოლი გააქვს. ვარაუდობენ, რომ სისწრაფისა და ღონიერი დარტყმის წყალობით, შეტევის გამძლიერებელ სათადარიგო მოთამაშედ გამოდგება.

3 ჯერმეინ დეფო

დეფომ ამ სეზონში უნდა დაამტკიცოს, არის თუ არა მსოფლიო კლასის ვარსკვლავი. „ტოტენჰემმა“ მისი განვითარება ცოტა დააბრკოლა, მაგრამ „პორტსმუთში“, ბევრის აზრით, პირველივე სრულ სეზონში შეუძლია თავის გამოჩენა. მის სანაკრებო შანსებს მაიკლ ოუენის ტრავმიანობაც ზრდის.

2 დევიდ ბენტლი

ბენტლის დიდი შანსი აქვს, კაპელოს ხელმძღვანელობით დევიდ ბექემის მუდმივი შემცვლელის როლი ითამაშოს, თუმცა დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ როგორ გამოიყენებს მას „ტოტენჰემის“ თავკაცი ხუანდე რამოსი.

1 თეო უოლკოტი

ეს არის ფეხბურთელი, რომელმაც ჯერ ინგლისის ნაკრებში ითამაშა და შემდეგ ჰქონდა დებიუტი პრემიერლიგაში — „არსენალში“. მისი კარიერა ძალიან ეფექტურად დაიწყო, ახლა ვნახოთ, რამდენად გაუძლებს სეზონის განმავლობაში რეგულარულად თამაშს.





ვის აღარ მოსწონს კრისი!



„მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავს, პორტუგალიელ კრიშტიანუ რონალდუს იმდენი ჯილდო და ტიტული აქვს, რომ ძნელად წარმოსადგენია, კიდევ ვინ რითი შეიძლება დააჯილდოვოს, მაგრამ თურმე სადა ხარ: რონალდუ მამათმავლებმა დააჯილდოვეს. ჰომოსექსუალისტთა საერთაშორისო გამოკითხვამ აჩვენა, რომ თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი ამ ჯურის ხალხის კერპია.

გამოკითხულებმა, ბუნებრივია, ერთხმად რონალდუ როდი დაასახელეს. როგორც იტყობინებიან, პორტუგალიელს ისეთი კონკურენტები ჰყავდა, როგორებიც არიან ჯუდი გერლანდი, ელტონ ჯონი, კაილი მინოგი და სხვები.

„გეიგოლდბიგერზის“ (ორგანიზაცია, რომელმაც გამოკითხვა ჩაატარა) პრესმდივანმა განაცხადა, რომ გამოკითხულებზე რონალდოს ფიზიკური მონაცემების, ჩაწიკწიკებული კბილებისა და ღიმილის გარდა მისმა ეშხიანმა ვარცხნილობამაც შემატა ხმები.

ფეხბურთელს და მის გარემოცვას ამ ამბავზე ჯერ არაფერი უთქვამს. აღსანიშნავია, რომ ათეულში კიდევ ერთი ფეხბურთელი, დეივიდ ბექემი მოხვდა.

ლუკა თალაკვაძე

სუპერპიპო: თამაში ჯერაც შემიძლია

ვეტერანი ფორვარდი ფილიპო ინძაგი მინდორს ხანგრძლივი პაუზის მერე დაუბრუნდა. მას ტრავმის გამო ბევრი გაუცდა და ახლა ძველებურად ათამაშება სურს.

შეგახსენებთ, რომ „მილანმა“ „იუვენტუსს“ 4:1 მოუგო და ინძაგიმ თავისი ყოფილი კლუბის კარში ერთი გოლი გაიტანა. მან მთლიანობაშიც კარგად ითამაშა.

ახლა სუპერპიპო „როსონერისთვის“ ორმაგად მნიშვნელოვანია, რადგან გუნდს თავდასხმაში უჭირს. აქამდე კარლო ანჩელოტის განკარგულებაში ოდენ ახალგაზრდა ალბერტო პალოსკი იყო. კაკა და მარკო ბორიელო ტრავმირებულნი არიან. ხოლო ალეშანდრე პატო და რონალდინიო ბრაზილიის ნაკრებთან ერთად, ოლიმპიადაზე იმყოფებიან.

„ძალიან გამიხარდა, რომ გოლი გავიტანე და შთამბეჭდავად მოვიგეთ. ფანებისა და ჩვენი პრეზიდენტის სილვიო ბერლუსკონის გახარება შევძელი. ყველა თბილად შემხვდა და დაბრუნება მომილოცა. თუმცა, სამუშაო კიდევ ბევრი მაქვს. თავდაუზოგავად უნდა ვივარჯიშო, რათა მომავალი სეზონისთვის მზად ვიყო. სკუდეტო ჩვენი მთავარი მიზანია და მინდა, წარმატებული სეზონი მქონდეს და გუნდს დავეხმარო. არავისთვის არაფერი არ მაქვს დასამტკიცებელი. უბრალოდ, ხალხს უნდა ვაჩვენო, რომ უმაღლეს დონეზე თამაში კიდევ შემიძლია. მთავარია, კარგად დავიწყოთ, გუნდურად და შემართებით. სტარტზე-ვე თუ არ შეგვექმნა პრობლემები, მერე ჩვენი შეჩერება რთული იქნება“ — თქვა ინძაგიმ.

ძოძი კანდელაკი



ჯო კოული „ჩელსიდან“ წასვლას არ აპირებს და კარიერის დასრულება ლონდონურ კლუბში სურს.

კონტრაქტის გახანგრძლივებაზე მოლაპარაკება დაწყებული ჰქონდა, მაგრამ ამ ზაფხულს ახალი მწვრთნელის მისვლის გამო პროცესი დროებით შეწყდა და ისევ განახლდება.

ჯო კოულმა ჩელსი დაიფიცა

„მინდა, ეს საკითხი მალე მოგვარდეს — თქვა ინგლისელმა — ახალ კონტრქტზე მოლაპარაკების დასრულება წლის ბოლომდე მსურდა, თუმც მწვრთნელის შეცვლის და ტრანსფერების გამო კლუბმა ამისთვის ვერ მოიცალა.

აქ ყველაფრით კმაყოფილი ვარ, „ჩელსი“ ჩემთან ხელშეკრულების გაგრძელებას აპირებს და ვფიქრობ, რომ პრობლემა არ შეგვექმნება. ჩემი მიზანია, სულ უფრო და უფრო უკეთ ვითამაშო, რადგან ქომაგებს არ მოსწონთ დინების მიმყოლი ფეხბურთლები. კარიერის ბოლომდე „ჩელსიში“ დავრჩები“.

„პორტსმუთთან“ პირველი ტურის მატჩში ანგარიში ჯომ გახსნა და დარწმუნებულია, რომ მომავალშიც გააოცებს სკოლარის, რათა ძირითად შემადგენლობაში ადგილი არ დაკარგოს:

„ჩელსიში“ კონკურენციაა და თანაგუნდელებს ვეჯიბრები, რომ მათ ვაჯობო. შანსი აუცილებლად უნდა გამოვიყენო. ამ კლუბში ეს ჩვეულებრივი ამბავია.

როცა დიდ გუნდში მიდიხარ, კონკურენციას წინასწარვე ელი. აქ სულ ასეა, საუკეთესოებს ვეჯიბრები და ეს მეგობრული ბრძოლა მომწონს. მათგან სწავლა არ მეთაკილება.

ვიცი, რომ მომავალშიც ასე იქნება. ფეხბურთელის მოსვენება გამორიცხულია. გასულ სეზონში კარგად ვითამაშე და საუკეთესოდ დამასახელეს, თუმც ეს უკვე წარსულია“.

ვაჟა ხუციშვილი

ფერდინანდი ლაითზე

პრემიერლიგის „სანდერერლენდი“ მზადაა, „ვესტ ჰემის“ ძველ ენტონ ფერდინანდის სანაცვლოდ 8 მილიონ გირვანქას ჩამოვიდეს. თვითონ ფეხბურთელს „ლაითზე“ გადაბარგების სურვილი ჯერჯერობით არ გამოუთქვამს, თუმცა მოსალოდნელია, რომ იგი თავის გადაწყვეტილებას უკვე ამ კვირას გააცხადებს.

ვენგერი, ნასრი და პირესი

ლონდონის „არსენალის“ თავკაცმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ „მეთოფეთა“ ახალწვეული სამირ ნასრი მას კლუბის ყოფილ მოთამაშეს, რობერ პირესს აგონებს: „სამირი ჭკვიანი მოთამაშეა, ის ძალიან სწრაფია და მოედნის შესანიშნავი ხედვა აქვს. ნასრის რაღაცით რობერ პირესს ვამსგავსებ, ალბათ, თამაშის მანერა აქვთ საერთო“ — თქვა ფრანგმა სპეციალისტმა.

ჩეხი უემბლის მოლოდინშია

ჩეხეთის ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის“ გოლკიპერი პეტრ ჩეხი ინგლისთან ამხანაგურ შეხვედრას მოუთმენლად ელის, თან მატჩი „უემბლის“ ლეგენდარულ სტადიონზე უნდა გაიმართოს: „უემბლიზე“ გამოსვლა ძალზე რთულია, ამ სტადიონზე სამჯერ მაქვს ნათამაშები. ინგლისელებს ამხანაგური თამაშების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ და სტადიონზეც სხვანაირი ატმოსფერო სუფევს. ინგლისში ცნება „ამხანაგური თამაში“ საერთოდ არ არსებობს, ყოველი მატჩი ძალზე მნიშვნელოვანია და ხალხიც თავისი გუნდით ამაყობს“ — აღნიშნა ჩეხმა კიპერმა.

ერთი დღით გვიან

პრემიერლიგის ხელმძღვანელობამ პატარა შესწორება გააკეთა, რომლის მიხედვით, ინგლისში სატრანსფერო ფანჯარა ერთი დღით გვიან, 31 აგვისტოს ნაცვლად, 1 სექტემბერს დაიხურება. ცვლილების მიზეზი შემდეგია — 31 აგვისტო კვირადღე ყოფილა. შემდეგი სატრანსფერო ფანჯარა 2009 წლის 1 იანვარს გაიხსნება.

მუტარელი სასამართლოში ჩივის

იტალიური „ლაციოს“ ნახევარმცველი მასიმო მუტარელი რომაულ კლუბს სასამართლოში ჩივილით ემუქრება, თუ „ბიანკოჩელესტის“ ხელმძღვანელობა მასთან მოქმედ კონტრაქტს არ გაწყვეტს. მუტარელი ერთ-ერთი იმ ფეხბურთელთაგანია, რომელთაც ამ ზაფხულს ხელშეკრულების გახანგრძლივება ვერ მოახერხეს. მასიმო კლუბს კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობაში ადანაშაულებს. საჩელაციო კომიტეტი თავის გადაწყვეტილებას 21 აგვისტოს გამოიტანს.

ადებაიორი დაადასტურეს

ლონდონის „არსენალის“ ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ ემანუელ ადებაიორმა კლუბთან გრძელვადიანი კონტრაქტი გააფორმა. ტოგოელმა ფორვარდმა გასულ სეზონში 30 გოლი გაიტანა, რომელთაგან ერთ-ერთი 2007-2008 წლების სეზონის საუკეთესო გოლად აღიარეს. 24 წლის აფრიკელი პრემიერლიგის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს, ხოლო „სეზონის საუკეთესო მოთამაშის“ ნომინაციაში მესამე ადგილზე გავიდა.

არენა გულიტისა და ლალასის ნაცვლად

სახელგანთქმული ამერიკელი სპეციალისტი ბრიუს არენა მეიჯორ ლიგის „ლოს ანჯელესში“ მთავარ მწვრთნელ რუუდ გულიტსა და გენერალურ მენეჯერ ალექსი ლალასს ერთბაშად შეცვლის. არენა ამ ორ თანამდებობას ერთდროულად შეითავსებს.

„ბრიუსი საუკეთესო კანდიდატურაა — განაცხადა „გელექსის“ პრეზიდენტმა ტიმ ლივიკმა — გასული კვირა ჩვენთვის ძალზე რთულად წარიმართა, მაგრამ ახლა პრესპექტივები გამოჩნდა“.

გუშინ არენამ კალიფორნიელებთან პირველი ვარჯიში ჩაატარა.

მორინინიმ სფორცა შეცვალა

შვეიცარიულ „ლუცერნს“ რობერტო მორინინის სახით ახალი თავკაცი ჰყავს. 57 წლის სპეციალისტმა ამ თანამდებობაზე ჩირიაკო სფორცა შეცვალა. მორინინი წარსულში „ლუგანოს“, „სერვეტსა“ და „ივერდონს“ წვრთნიდა და სამ შემთხვევაში (1995, 2001 და 2002 წლებში) „ლუგანო“ ჩემპიონატში მეორე ადგილზეც კი გაიყვანა. ამჟამად „ლუცერნი“ ეროვნულ ჩემპიონატში უკანასკნელ ადგილზე იმყოფება — ექვს თამაშში ერთადერთი ქულა.

დეზების მოირიგი სურვილი

ესპანური „სევილიას“ ნახევარმცველი დიეგო კაპელი, შესაძლოა, „ტოტენჰემში“ გადაბარგდეს. „დეზების“ დამრიგებელი ხუანდე რამოსი ადრე სწორედ ანდალუზიურ კლუბს წვრთნიდა და ახლა თავისი ყოფილი კლუბის მოთამაშის შეძენა სურს. სევილიელები ფეხბურთელს 12,3 მილიონ გირვანქად აფასებენ და ინგლისელები მზად არიან, ეს თანხა გადაიხადონ, თუმც „სევილიას“ პრეზიდენტ ხოსე მარია დელ ნიდოს კაპელოს გაშვება არ სურს და აცხადებს, რომ კონტრაქტის მიხედვით, ნახევარმცველს მხოლოდ ესპანურ კლუბში გადასვლის უფლება აქვს.

არჩილ ძოგახიძე

ათწლიანი ხავისტორია

ათი წლის წინ, 1998 წლის 18 აგვისტოს „ბარსელონას“ მაშინდელმა მწვრთნელმა ლუის ვან გალმა ექტორ კუპერის „მალიორკასთან“ ესპანეთის სუპერთასის მატჩში მინდორზე ძირითადი გუნდის შემადგენლობაში პირველად შეუშვა 18 წლის ტერასელი ბიჭუნა — ხავი ერნანდესი... მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, „ბარსას“ აღზრდილი ხავი კი ნელ-ნელა იქცა კატალონიელთა და ესპანეთის ნაკრების ლიდერად. როგორც იცით, წელს პირენეელებმა ბრწყინვალე სტილში მოიგეს ევროპის ჩემპიონატი, ხავი კი ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. მას „ბარსელონას“ ტელეარხმა ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა

— ახლა ალბათ კარიერის საუკეთესო პერიოდი გაქვთ, არა?

— დიახ, ერთ-ერთი საუკეთესო პეიროდი. ევროპის ჩემპიონატის მოგებამ და ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებამ ენთუზიაზმი და თავდაჯერება მომმატა. ის, რომ ჩვენს ახალ მწვრთნელ ხოსეპ გვარდიოლას ახლოს ვიცნობ, მასთან კარგი ურთიერთობა მაქვს და ერთად გვითამაშია კიდეც, მაგრძნობინებს, რომ კლუბის წევრი ვარ.

— როგორ შეიცვალა ხავი ერნანდესი ამ 10 წლის განმავლობაში?

— მე იგივე ვარ. როგორც ფეხბურთელი, უფრო დავიხვეწე და გამოცდილება მომემატა. ახლა თამაშს უკეთ ვკითხულობ, ვხედავ, როდის უნდა ავიღო პაუზა, ვხედავ, როცა გუნდს რაღაც აკლია და თანაგუნდელებს უფრო ხშირად ველაპარაკები მატჩების მსვლელობისას.

— „ბარსას“ მაისურით ჩატარებული მატჩების რაოდენობის მხრივ სამეულში შედიხართ. ათვითცნობიერებთ, რომ უკვე კლუბის ერთ-ერთი ლეგენდა ხართ?

— დიახ, მრავალი წელი გავიდა. გამიმართლა, რომ ძირითად გუნდში 18 წლისა მოვხვდი. დიდი მადლობელი ვარ ყველა იმ მწვრთნელის, რომელიც მყოლია. ბედნიერი ვარ, რომ კლუბის ბევრი ლეგენდის წინ აღმოვჩნდი, მაგრამ ორს ჯერ კიდევ უნდა გავუსწრო — რექსაჩსა და მიგელის. ვგრძნობ, რომ ამის გაკეთება შემიძლია, რადგან თავს ძლიერად და გუნდისთვის სასარგებლოდ ვგრძნობ.

— პირველ წლებში პეპ გვარდიოლას ცვლიდით. როგორი მოგონებები დაგრჩათ იმ პერიოდზე?

— პეპი ტრავმირებული იყო, მას ჩვენი ფანები აღმერთებდნენ და გვარდიოლას შეცვლა ჩემთვის დიდი გამოწვევა გახლდათ. მე მხოლოდ 18 წლის ვიყავი, მის პოზიციაზე ვთამაშობდი და, შესაბამისად, იგივე ფუნქციები მქონდა, ეს კი რთული გახლდათ. თუმცა ყველა მეხმარებოდა და ვან გალიც ბოლომდე მენდობოდა. ისიც მახსოვს, თავად პეპი როგორ მედგა გვერდით. ჯერ კიდევ დაშავებული იყო, ხალხი კი უკვე ითხოვდა ჩვენს ერთად თამაშს. მახსოვს მისი რჩევები და დამოკიდებულება.

— როგორი ხასიათი აქვს გვარდიოლას? მაშინ, როცა ჯერ კიდევ ფეხბურთელი იყო, უკვე მწვრთნელის ფუნქციებსაც ასრულებდა?

— მწვრთნელი არ გახლდათ, ძალიან პედანტი და რაციონალური მოთამაშე იყო. ძალიან უყვარდა ბრძანებების გაცემა და მუდამ გაკონტროლებდა. გუნდის შემადგენელი ნაწილი იყო, მისი ხერხემალი. ბრძანებებსაც ამიტომ გასცემდა. გვარდიოლა ფეხბურთზე გიჟდებოდა და არც შეცვლილა. გვარდიოლა სხვებს დიდ ყურადღებას უთმობს და ჩემთვის პატივია, რომ ვიცნობ მას, როგორც პიროვნებას და როგორც მწვრთნელს.

— თქვენს პირველ სეზონში ესპანეთის ჩემპიონი გახდით. მერე კი იყო ხუთწლიანი პაუზა, როცა „ბარსა“ ვერაფერს იგებდა. როგორ გადიტანეთ ეს პერიოდი?

— ეს ჩემთვის და ყველასთვის, ვინც თავს კლუბის წევრად გრძნობდა თუ გრძნობს, უცუდესი პერიოდი იყო. არანაირი მიღწევა არ გვქონდა, ეს კი ყოველთვის დამთრგუნველია. თუმცა, ეს ამავდროულად გაძლიერებს და დამატებით მოტივაციას გაძლევს. ისეთებისთვის, როგორიც მე და კარლეს პუიოლი ვართ, ურთულესი პერიოდი გახლდათ, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი უკან დარჩა და ისევ მწვერვალზე ვართ.

— 2003-2004 წლების დაწყებამდე გუნდი ფრანკ რაიკარდმა ჩაიბარა და მოვიდნენ რონალდინიოს დარი, წარმატებას მოწყურებული ფეხბურთელები, რამაც შედეგი გამოიღო. რამე პარალელს ხომ არ გაავლებთ იმ და ამ პერიოდს შორის?

— დიახ, ვფიქრობ, მსგავსება მრავალია. უპირველესად, შეგრძნებებია ანალოგიური. ჩვენი შემართება, თამაშის სტილი, პრესინგი მთელ მოედანზე და გამარჯვების წყურვილი მაფიქრებინებს, რომ მომავალი სეზონი ძალიან წარმატებული იქნება.

— 2004-2005 წლების სეზონში „ბარსელონამ“, როგორც იქნა, მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი და თქვენ ამაში ლომის წვლილი შეიტანეთ. ეს სეზონი თქვენთვის საუკეთესო იყო?

— დიახ, ეს სეზონი, ალბათ, საუკეთესოა მათ შორის, რაც „ბარსაში“ გამიტარებია. რაიკარდმა წინ წამწია, მეტოქის კარს 15 მეტრით მივუახლოვდი და თავდასხმაში მყოფი ბრწყინვალე ფეხბურთელებისთვის ბოლო პასის გაკეთება დამევალა, გუნდისთვის უფრო სასარგებლო გავხდი. მთელი კლუბი ბრწყინვალედ ირჯებოდა, მე კი თავს საკვანძო მოთამაშედ ვგრძნობდი.

— ეს ტიტული მთელ ქალაქში გრანდიოზულად იზეიმეთ...

— ეს ზეიმი, გუნდის ფანებთან ერთად, საოცარი რამაა, ამაზე უკეთესს ვერაფერს ინატრებ. ეს საუკეთესო გრძნობაა, რომელიც კარიერის განმავლობაში განმიცდია.

— ნელ-ნელა, მეტოქის კარს უფრო მიუახლოვდით და ევროპის ჩემპიონატზე ძალიან შემტევი ხავი ვიხილეთ. მომავალ სეზონშიც ასე იქნება?

— დიახ, ვფიქრობ, ასე იქნება. ადრე, როგორც წესი, ძალიან წინ არ მივდიოდი ხოლმე, მაგრამ გვარდიოლას არ უნდა, რომ დაცვაზე ზედმეტი აქცენტი გავაკეთო. მას სურს, რომ ნახევარდაცვისა და თადასხმის დამაკავშირებელი ვიყო, რადგან ასე ყველაზე მეტ თავსატეხს ვუჩენ მეტოქეებს. ერთი სიტყვით, პეპს უნდა, რომ წინწაწეული ვიყო და ბევრი საგოლე პასი გავაკეთო. იმედია, ეს ტიტულის მოგებაში დაგვეხმარება.

— გასულ სეზონში 9 გოლი გაიტანეთ, ეს პირადი რეკორდია. ახლა გატანილ გოლებს თქვენთვის მეტი მნიშვნელობა აქვს?

— ახლა, მეტოქის კართან თავს გაცილებით თავდაჯერებულად ვგრძნობ. როცა უფრო მეტს უტევ და გოლები გაგაქვს, თას სხვანაირად გრძნობ. კარგ ფორმაში ვარ და მინდა, ეს მაქსიმალურად გამოვიყენო. უფრო მეტი უნდა შევუტიო და მეტოქის კარისკენ ხშირად ვურტყა.

— რა მიზნები გაქვთ მომავალ სეზონში?

— თავს დაუმარცხებლად ვგრძნობ, ბრწყინვალე ახალი შემადგენლობითა და მწვრთნელით. ამიერიდან ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ტიტული მოვიგოთ. ეს ძალიან რთული იქნება, მაგრამ ყველა მზად ვართ ამ დიდი გამოწვევის მისაღებად. ვფიქრობ, სურვილების ასრულება, ყოველ შემთხვევაში, მინიმუმ ერთი ტიტულის მოგება ძალგვიძს.

— დებიუტი „მალიორკასთან“ სუპერთასის მატჩში გქონდათ. 90 წუთი ითამაშეთ, „ბარსამ“ 1:2 წააგო, მაგრამ ის ერთადერთი გოლი თქვენ გაიტანეთ. მაშინ, 18 წლის იყავით და როგორ გაიხსენებთ ასეთ წარმატებულ დებიუტს?

— სადებიუტო მატჩი ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეძებ დახმარებას თანაგუნდელებისა და მწვრთნელისგან. მე ეს დახმარება მივიღე. ჩემით არავინ დაეჭვებულა და ამან შედეგი გამოიღო. მე-16 წუთზე გატანილმა გოლმა თავდაჯერება შემმატა, ძალიან ვნერვიულობდი.

— სადებიუტო სეზონში ძირითად გუნდში 16 მატჩი ჩაატარეთ და სარეზერვო გუნდის რიგებშიც გადიოდით მინდორზე. ეს ყველაფერი როგორ მოახერხეთ?

— ეს რთული იყო, რადგან მოულოდნელად მოხდა და ამ ტვირთისთვის უნდა გამეძლო. თავიდან ყველასთვის უცნობი მოთამაშე ხარ, მერე კი ქუჩაში გცნობენ. ეს გზა ადვილი გასავლელი არ არის. მე მასწავლებლებში გამიმართლა, მათ ცხოვრება სხვაგვარად დამანახეს. ფეხბურთი ჩემთვის ყოველთვის სამუშაო იყო და მეტი არაფერი. იოლი არ გახლავთ, მაგრამ დედამიწას არასოდეს ავცილებივარ, ცივ გონებას ვინარჩუნებ, ეს კი გარშემო მყოფი ხალხის დამსახურებაა.

— გახსოვთ, როგორ იზეიმეთ პირველი ჩემპიონობა?

— ეს განსაკუთრებული რამ იყო იმიტომ, რომ ეს გახლდათ ბოლო ზეიმი „პლაზა სენტ ჰაუმეში“. მე იმ გუნდის ერთადერთი შემორჩენილი მოთამაშე ვარ და ეს კიდევ უფრო ბედნიერს მხდის.

კიელინი მძიმე ტრავმას გადაურჩა



ტურინის „იუვენტუსის“ ბანაკში შვებით ამოისუნთქეს მას მერე, რაც გაირკვა, რომ ჯორჯო კიელინის ტრავმა ისეთი სერიოზული არ არის, როგორც ვარაუდობდნენ.

შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა მცველი, რომელმაც წინა სეზონი და ევროპის ჩემპიონატი ბრწყინვალედ ჩაატარა, რამდენიმე დღის წინ „ტროფეო ბერლუსკონიზე“ „მილანთან“ შეხვედრაში, ალბერტო პალოსკისთან შეჯახებისას დაშავდა.

კიელინიმ მუხლის ტრავმა მიიღო და შიშობდნენ, რომ მყესები ჰქონდა გაწყვეტილი, რაც 3-6 თვე უქმობას ნიშნავდა. თუმც ტურინელთა ექიმებმა გამოკვლევების ჩატარების შემდეგ, სასიხარულო ინფორმაცია გაავრცელეს, ფეხბურთელი სექტემბრის ბოლოს შეძლებს მინდორზე დაბრუნებას.

„გულიდან ლოდი ჩამოვიცილე და შვებით ამოვისუნთქე. ისეთ ტკივილს ვგრძნობდი, რომ ძალიან შემეშინდა. ვფიქრობდი, სეზონი ჩემთვის დამთავრდა-მეთქი. ცხადია, ვვარაუდობდი, რომ მყესები მქონდა გაწყვეტილი. საბედნიეროდ. ასე არ არის. ახლა სპეციალური პროგრამით, დამოუკიდებლად ვვარჯიშობ და მიხარია, რომ ბევრი მატჩის გამოტოვება არ მომიწევს. სექტემბრის ბოლოსკენ გუნდს დავუბრუნდები“ — თქვა კიელინიმ.

გიორგი კაკაბაძე



რომის „ლაციოს“ წამყვან ფორვარდ ტომაზო როკის დაახლოებით 40 დღე უქმობა მოუწევს. 30 წლის თავდამსხმელი 23 წელს გადაცილებული ერთადერთი მოთამაშე იყო, რომელიც პიერლუიჯი კაზირაგიმ პეკინის ოლიმპიადაზე წაიყვანა.

როკიმ ჯგუფური ეტაპის პირველი მატჩი

როკის 40 დღე

გამოტოვა. მეორეში ითამაშა და გოლიც გაიტანა. მერე კი ვარჯიშისას დაშავდა და „ბიანკოჩელესტის“ სეზონის პირველ მატჩებში დააკლდება.

ამან ძალიან გააბრაზა „ლაციოს“ პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო — ყველამ იცოდა, რომ როკი ბოლომდე მზად არ იყო და არ უნდა წაეყვანათო. თუმცა ფეხბურთელმა პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო, ექიმები და სხვანი არაფერშუაში არიან, გავრისკე და არ გამიმართლაო.

აქვე, კიდევ ერთი ლაციოური ამბავი. არგენტინელ ნახევარმცველ კრისტიან ლედესმას ლოტიტოსთან კონფლიქტის მერე, კლუბის დატოვება რომ აქვს გადაწყვეტილი, არახალია. მას აქტიურად უკავშირებენ ტურინის „იუვენტუსს“. რომაელთა ბანაკში ამ ინფორმაციას არც ადასტურებენ და არც უარყოფენ. დაზუსტებით ჯერ ვერაფერს ამბობს ფეხბურთელის აგენტი ვინჩენცო დიპოლიტოც.

კოკი კანდელაკი

კრეიგ ბელამი

ტოშაკისებში ცვლილებებია

დღეს, საქართველოს ეროვნული გუნდი სუონსში უელსელებს ამხანაგურად გაეჯიბრება. ქართველებს შემადგენლობის მხრივ პრობლემები რომ მისძალებიათ, ადრეც ვწერდით. თავის მხრივ, უელსელთა თავკაც ჯონ ტოშაკსაც მოუხდა რამდენიმე ცვლილების გაკეთება.

გუნდს ერთ-ერთი ლიდერი კრეიგ ბელამი რომ დააკლდებოდა, ცნობილი იყო. გუშინ კი ტოშაკს ისევ მოუხდა შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა. ზურგის ტრავმის გამო უელსელებს ბრაიან სტოკი გამოაკლდათ. მის ნაცვლად ტოშაკმა მატეო კოლინზსა და ჯო ალენს უხმო, ხოლო რომელს ენდობა, ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

მცირე პრობლემებისა და დაგვიანების შემდეგ გუნდს კარლ რობინსონიც შეუერთდა.

„საქართველოსთან მატჩი მნიშვნელოვნად წაგვადგება მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების წინ" — განაცხადა ჯონ ტოშაკმა, რომლის სადღეისო განაცხადი ასეთია:

ბოეზ მაიპილი, სემ რიკეტსი (ორივე ჰალი), ლუის პრაისი (დერბი), ეშლი უილიამსი, ოუენ ჯონსი, მეტიუ კოლინზი, ჯო ალენი (ყველა სუონსი), სტივ ევანსი (რექსჰემი), კრეიგ მორგანი (პიტერბრო), კარლ ფლეტჩერი (კრისტალ პალასი), ენდრიუ გრიფსი (ქილინგემი), არონ დევისი, რობერ ერნშოუ (ორივე ნოტინგემი), კარლ რობინსონი (ტორონტო), სიმონ დევისი (ფულემი), ჯეისონ კუმსი (უიგანი), დევიდ ვოენი (ბლექპული), ფრედი ისტვუდი (ქოვენთრი), ჯერმინ ისტერი (პლიმუთი), პოლ პერი (კარდიფი).

მიხეილ ჟორჟოლიანი

ევროპის 2009 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი

ქართული შანსი მოსკოვში და ესპანელთა ხელშია

ყაზახეთი 3:0 პოლონეთი

1:0 ნუსერბაევი (12), 2:0 კენბაევი (31), 3:0 ნუსერბაევი (90)

ყაზახეთი: შაბანოვი, კისლიცინი, ჟუმბაევი, შევჩენკო, ლოგვინენკო, იბრაევი, ნუსერბაევი, საბალაკოვი, კენბაევი (მალცევი 68), ნოსკოვი (შახმეტოვი 79), აზოვსკი (ბოროვსკი 85)

პოლონეთი: ტიტონი, ციმი, რჟეუნიჩაკი, ვასილიუკი, პაველეცი, კუკლისი, დანხი (იანოშკო 34), ცველონგი, ვილკი, შლიფირჩუკი, იარკა (ფრანჩიაკი 81)

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად იბრძვის. ჩვენებს ამის შანსი ჯერ კიდევ შერჩენიათ, თუმც საკუთარი თავის გარდა, მეტოქეებზეც არიან დამოკიდებულნი.

დღეს ქართველებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი მატჩია — რუსეთი შინ ესპანელ თანატოლებს დაუხვდება და პირისპირ ესპანელთა მოგების შემთხვევაში საევროპო შანსი იზრდება.

გუშინ კი ყაზახებმა პოლონელებს უმასპინძლეს და სენსაციური გამარჯვება მოიპოვეს.

უკვე საწყის ნახევარ საათში მასპინძლებმა ორი გოლი გაუტანეს მეტოქეს.

მე-12 წუთზე კენბაევმა საგოლეე უპასა ნუსერბაევს, 31-ე წუთზე კი მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა თავად გაიტანა.

პოლონელთა მწვრთნელმა უმალ შეცვლას მიმართა, თუმც იშტაზე მოსულ ყაზახებს ვერაფერი დააკლეს. ის კი არა, მატჩის ბოლო წუთზე შეტევაში გართულ სტუმრებს კონტრშეტევა გაეპარათ, მათმა მეკარე ტიტონმაც ვერ ივარგა, ადვილი ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა და ნუსერბაევმა დუბლი შეასრულა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ესპანეთი	5	5	0	0	15:0	15
რუსეთი	5	4	0	1	9:2	12
საქართველო	6	2	0	4	6:13	6
პოლონეთი	7	2	0	5	4:11	6
ყაზახეთი	7	2	0	5	8:16	6

20 აგვისტო
რუსეთი — ესპანეთი
5 სექტემბერი
რუსეთი — **საქართველო**
ყაზახეთი — ესპანეთი
9 სექტემბერი
ესპანეთი — რუსეთი
10 სექტემბერი
საქართველო — პოლონეთი

უელსი ჩვენი სიამაყეა

უელსელებისთვის გოლი დავით ყიფიანსაც აქვს გატანილი

უელსი, ერთადერთი საფეხბურთო ქვეყანაა, რომელიც საქართველოსგან იჩაგრება.

დღეს საქართველოს ნაკრები ამხანაგურად ეთამაშება ევროპის ერთადერთ საფეხბურთო ქვეყანას, რომელთანაც ურთიერშეხვედრებში ასპროცენტიანი შედეგი აქვს — დიახ, გიჟები არ ვართ, უელსს ჩამორჩენილი საფეხბურთო ერი ვუწოდოთ, იქ ხომ ჯონ ჩარლზი, რაიან გიგზი, იან რაში დაბადებულან.

ჰოდა, ყველასთან იგებს საქართველო 5:0-ს? აი, უელსს კი სწორედ ასეთი ანგარიში აგემა და ეს მართლაც რომ ისტორიული გამარჯვება იყო ქართული ფეხბურთის ისტორიაში — ნაკრების პირველი ოფიციალური გამარჯვება, თან როგორი...

კარგად გვახსოვს, 1994 წლის 16 ნოემბერი: ქვეყანაში გამეფებული უშუქობა, უკიდურესი გაჭირვება, გულშემატკივარს ბილეთის ფულიც არ ჰქონდა. ჟინჟღლიან, მოჟამულ ამინდში, შუადღის 12 საათზე დაიწყო მატჩი, უელსში კი ამ დროს ახალი გათენებული იყო. ეს ერთი პლუსი ჩვენების სასარგებლოდ, თორემ სხვა რა? მატჩამდე საქართველო არანაირად არ ითვლებოდა ფავორიტად, მანამდე მოლდოვასა და ბულგარეთთან მარცხი გვქონდა მოლეული.

„ეროვნულის" ტრიბუნები ბოლომდე არ შევსებულა, თუმც ბევრიც არ აკლდა. ვისაც ის მატჩი უნახავს, უელსელთა ღიპიანი მეკარე ნევილ საუთჰოლის საცოდაობა არ დაავიწყდება. ქართველებმა სულ ნარ-ნარი გოლები გაუტანეს „ბოყინას" (ასეთი მეტსახელი ჰქონდა საუთჰოლს), უმეტესად, ბურთის თავზე გადაგდებებით. იფრინეს გიორგი ქინქლაძემ, შოთა არველაძემ, თემურ ქეცბაიამ, გოჩა გოგრიჭიანმა და გიორგი ნემსაძემ, რომელმაც გიორგი ქინქლაძის გოლის აღნიშვნისას მძიმე ტრავმა მიიღო...

უელსი მთლად გაშეშებული იყო, არსად ჩანდნენ იან რაში და მარკ ჰიუზი...

ეს იყო ევრო-96-ის შესარჩევი ციკლი და ამ გუნდების მეორე მატჩიც ქართველებმა მოიგეს — 1:0. კარდიფში პირველ ტაიმშივე ხულიგანი ვინი ჯონსი გააძევა მსაჯმა (მიხეილ ყაველაშვილს საშინლად ეუხეშა), რის შემდეგაც უელსელთა კართან დაცხა, გოლი კი დიდებული იყო — ქინქლაძემ 25-27 მეტრიდან რბილად ამოჰკრა ბურთს ფეხი და კარიდან გამოსული საუთჰოლი პირღია დატოვა.

კარდიფში მოგებამ საქართველოს ევროპის ჩემპიონატზე გასვლის მცირე შანსი მისცა — ეს „მცირე" კი გერმანიაში უსათუო მოგება იყო, რაც ოცნებას უფრო ჰგავდა.

ეს რაც შეეხება სანაკრებოს. საკლუბო დონეზე კი ქართულ-უელსური ჯახი მხოლოდ ერთ სეზონში, 1976 წელს თასების თასზე გაიმართა. თბილისის „დინამომ" პირველ ეტაპზე „კარდიფ სიტისთან" სტუმრად 0:1 წააგო, თუმც ორი კვირის თავზე ვლადიმერ გუცაევის, დავით ყიფიანისა და ფირუზ კანთელაძის გოლებით 3:0 იმარჯვა — ეს მატჩიც თავისებურად ისტორიული იყო: „დინამოს" განახლებულ-გალამაზებულ სტადიონზე პირველი შეხვედრა გაიმართა 1976 წლის 29 სექტემბერს...

საინტერესოა, რომ ალექსანდრე ჩივაძემ ჯერ ფეხბურთელის, მერე კი მწვრთნელის რანგში გაამწარა უელსელები, ხოლო ნოდარ ახალკაცმა — ჯერ მწვრთნელის, შემდეგ კი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის რანგში.

ილია ნანოგაშვილი


თემურ ქეცბაიამ ისტორიულ გამარჯვებაში 2-გოლიანი წვლილი შეიტანა

თასების მფლობელთა თასი

1/16 ფინალი. 15 სექტემბერი, 1976 უელსი. კარდიფი. „ნინიან პარკი". 27 000 მაყურებელი

კარდიფ სიტი 1:0 დინამო

1:0 ოლსტონი (73)

მწვრთნელი: ჯიმი ენდრიუსი

დინამო: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ებრალიძე, ხინჩიგაშვილი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ჩელებაძე, გუცაევი, ყიფიანი, კოპალეიშვილი

მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი

მსაჯები: ამუნდსენი, ნილსენი, იონსენი (დანია)

1/16 ფინალი. 29 სექტემბერი, 1976 თბილისი. „დინამოს" სტადიონი 76 000 მაყურებელი

დინამო 3:0 კარდიფ სიტი

1:0 გუცაევი (23), 2:0 ყიფიანი (73), 3:0 კანთელაძე (80 პენ)

დინამო: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ჩელებაძე, გუცაევი (ნურეთელი 44), ყიფიანი, კოპალეიშვილი

მწვრთნელი: ნოდარ ახალკაცი

გაფრთხილება: ბუკენენი

მსაჯები: შპიგლი, კლოკერი, ვიმერი (ავსტრია)

ევროპის 1996 წლის ჩემპიონატი

შესარჩევი მატჩი. 16 ნოემბერი, 1994. თბილისი. ეროვნული. 55 000 მაყურებელი

საქართველო 5:0 უელსი

1:0 ქეცბაია (31), 2:0 ქინქლაძე (41), 3:0 ქეცბაია (49), 4:0 გოგრიჭიანი (59), 5:0 შ. არველაძე (67)

საქართველო: დევაძე, რევიშვილი, ცხადაძე, შელია, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, ნემსაძე (ინალიშვილი 42), გოგრიჭიანი, ქეცბაია (ყავლაშვილი 75), ქინქლაძე, შ. არველაძე

მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

გაფრთხილება: ცხადაძე

მსაჯი: სარსი (საფრანგეთი)

შესარჩევი მატჩი. 7 ივნისი, 1995. კარდიფი. „არმზ პარკი". 12 000 მაყურებელი

უელსი 0:1 საქართველო

0:1 ქინქლაძე (72)

საქართველო: დევაძე, ბერაძე, ცხადაძე, შელია, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, ინალიშვილი, ყავლაშვილი (ჩქეტიშვილი 73), ქეცბაია, ქინქლაძე, შ. არველაძე (კილასონია 86)

მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

გაფრთხილება: ჩიხრაძე, დევაძე

მსაჯი: კოპო (ფინეთი)

ათმაგი ენერგიით!

ალექსანდრე იაშვილი: კუპერმა ტაქტიკით დაიწყო

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

„სამწუხაროდ, ბოლო დღეებში ჩემი საყვარელი საქმე მეორე პლანზე გადავიდა. რთულია ფეხბურთზე ფიქრი, როცა საქართველოში ასეთი საშინელი ამბავია, მაგრამ უელსში ჩამოვედით და ვთქვით, რომ უნდა ვითამაშოთ, თავს არ დავზოგავთ. მეტიც, ათმაგი შემართებით უნდა ვიყოთ“ — გვითხრა საქართველოს ნაკრებისა და „კარლსრუეს“ შემტევმა ALEXANDRE IAASHVILI, რომელსაც გუშინ უელსში ვარჯიშამდე დავუკავშირდით. სუონსის „ლიბერტი სტედიუმზე“ ექტორ რაულ კუპერის დებიუტი შედგება საქართველოს ნაკრებში — ამ მხრივაც საინტერესოა ეს მატჩი...

— ახალი მწვრთნელი — მას ყველა ახალი იმედებით უყურებს. რას იტყვი კუპერზე, როგორია პირველი შთაბეჭდილება?

— აქ კვირას ჩამოვედი, გუშინ ორი ვარჯიში გვქონდა, დილას და საღამოს. ჯერ ძნელია შთაბეჭდილებაზე ლაპარაკი, მაგრამ ორი აზრი არ არის, რომ კუპერი ძლიერი და მცოდნე მწვრთნელია. ის ფეხბურთელებს გვეცნობა, აშკარად ეტყობა, რომ ინტერესით უდგება საქმეს, ეგაა, დრო ცოტაა. 6 სექტემბერს უკვე შესარჩევი ციკლი იწყება და კუპერმა მანამდე დარჩენილი დღეები მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს.

— რას აქცევს კუპერი ყველაზე დიდ ყურადღებას, რაზე აკეთებს აქცენტს ვარჯიშებზე?

— ტაქტიკაზე. ეს მომწონს. კუპერი ორ თანაშემწესთან ერთად თავს არ ზოგავს, სწორად აგვიხსნას დაცვაში თუ შეტევაში თამაშის მისეული ხედვა.

— კუპერის ვარჯიშები ტომპიოლერისგან განსხვავებულია?

— ძნელია შედარება, მაგრამ კუპერი უფრო დიდ ყურადღებას უთმობს ტაქტიკას — ეს აშკარად ჩანს. ბევრი გვავარჯიშა იმაზე, როცა მოწინააღმდეგეს აქვს ბურთი, როგორ უნდა ვითამაშოთ და ასე შემდეგ...

— ურთიერთობაში როგორია ახალი მწვრთნელი? ფეხბურთელებთან მკაცრია თუ მეგობრული? ამას იმიტომ გეკითხები, რომ ტომპიოლერზე ბევრი ამბობდა, სიმკაცრე აკლდაო...

— კუპერი მოედანზე მაქსიმალურად დახარჯვას ითხოვს ფხბურთელებისგან და ცდილობს, არც ერთი პატარა დეტალი არ გამოეპაროს. საქმეში მკაცრია, მოედნის მიღმა კი ჩვეულებრივი: ვერც იმას ვიტყვი, რომ ძალიან მხიარულია და ვერც გულჩათხრობას დავაბრალებ.

— გუნდში განწყობა ვერ იქნება კარგი — საქართველოში რუსის ჯარი დათარეშობს...

— ძალიან რთულია ფეხბურთზე გადართვა, ბუნდესლიგაში ბოლო დღეებში ისე გათანგული ვიყავი, წესიერად ვარჯიშის თავიც არ მქონდა. ამიტომაც არ მთამაშა „კარლსრუეს“ მწვრთნელმა პირველ ტურში. უელსში კი საბრძოლველად ვართ ჩამოსულნი — უნდა დავამტკიცოთ საქართველოს სიძლიერე.

— გერმანიაში რა გამოხმაურება ჰქონდა მიმდინარე მოვლენებს? ალბათ, ყველანაირად გამშვიდებდნენ...

— დიახ, კარლსრუეში ყველას გულთან ახლოს მიჰქონდა ჩემი დარდი. მხარში მედგნენ და სულ მეკითხებოდნენ, რით შეიძლება დაგეხმაროთო. სასიამოვნო იყო ამის მოსმენა. გასაჭირში რომ სიტყვით მაინც გეხმარებიან, დიდი გრძნობაა. კუპერმაც გვითხრა, ვიცი, თქვენი ფიქრები საქართველოშია და ძნელია ფეხბურთზე კონცენტრაცია გააკეთო, მაგრამ აქ ხართ და თქვენი ქვეყანა კარგი თამაშით უნდა ასახელოთო.

ილია ნანობაშვილი

P.S. ბოლოს ვთქვათ, რომ ლევან კობიაშვილის უელსში ჩასვლა გამოირიცხა: მას ბრიტანეთის ვიზა არ მისცეს. ნაკრებში 19 ფეხბურთელია და ყველა ჯანმრთელადაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენაში ოცდაექვსში

აუსტრიამდე ერთი ტესტიც იქნება

მოგეხსენებათ, ევროთასზე ერთადერთი ქართული გუნდი თბილისის „ვიტ ჯორჯია“ შემოგვრჩა.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა რომ არა, ვენის „აუსტრიასთან“ პირველი მატჩი 14 აგვისტოს თბილისში უნდა ჩატარებულიყო, თუმც შემდეგ უეფამ ნეიტრალურ მოედანზე ბრძანა მატჩის გამართვა და ვიტელებიც თურქულ რიზეში წასასვლელად მზად იყვნენ. მაგრამ რუსულმა ავიაციამ ქართული ქალაქების დაბომბვა დაიწყო და თბილისელები შინ დარჩნენ.

რა თქმა უნდა, უეფას ამის თაობაზე ეცნობა და ევროპული ფეხბურთის მამებმა უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღეს: მხოლოდ ერთი მატჩი ჩატარდეს და იქ გაირკვეს შემდეგ ეტაპზე გამსვლელის ვინაობაო. ეს მატჩი 28 აგვისტოს ვენაში გაიმართება.

ომიანობის მიუხედავად, ვიტელებს საწვრთნელი პროცესი არ შეუწყვეტიათ და გუნდი მცხეთაშია შეკრებაზე. მათთან არ არიან კაპიტანი ალექსანდრე კვახაძე და ირაკლი კლიმიაშვილი, რომლებიც ეროვნულ ნაკრებთან ერთად არიან უელსში.

როგორც გუშინ ერთ-ერთმა მწვრთნელმა ზურაბ ბერიძემ გვითხრა, „ვიტ ჯორჯია“ სავარაუდოდ 22-23 აგვისტოს ერთ ტესტ-მატჩს გამართავს, 26-ში გამთენიისას კი გუნდი ვენაში გაფრინდება, სადაც სასტუმრო უკვე დაჯავშნული აქვთ.

ნუკრი ლოლაძე

გიორგი დავითნიძის ებრაული თვეები

ბადრი კეთილაძის ფოტო

„ამერის“ ყოფილი კაპიტანი გიორგი დავითნიძე ისრაელის ლიგალომიტის „ლოდში“ ჩაირიცხა. ქართველმა, რომელიც ისრაელში უკვე რამდენიმე კვირა იმყოფება, ებრაულ გუნდთან კონტრაქტი ორშაბათს გააფორმა. „ლოდში“ ის 10 თვე დარჩება.

როგორც შევიტყვეთ, დავითნიძეს ისრაელში ოჯახიც მიჰყავს.

კარიერაში დავითნიძეს საკმაოდ ბევრი კლუბი გამოუცვლია. თავიდან იყო თბილისის „მრეტები“, მერე თბილისის „დინამო“, „მერანი“, ცოტა ხნით ტირასპოლის „ნივაშიც“ ირიცხებოდა, საქართველოში დაბრუნებულმა ერთი სეზონი ფოთის „კოლხეთში“ გაატარა. ამის შემდეგ რუსულ. „ურალში“ ითამაშა, მერე კვლავ „მერანი“, თბილისის „ლოკომოტივი“, გორის „დილა“ და 2003 წელს „ამერში“ მივიდა, სადაც ხუთი წელი დაჰყო.

ახლა კი, როგორც მოგახსენეთ, ჯორჯო ებრაულ „ლოდში“ ჩაირიცხა.

ნუკრი ლოლაძე

ფინეთი

ვეიკაუსლიგა

ტამპერე 4:1 ჰამენლინა

რუსეთი

I დივიზიონი

ვეტალურგი 3:0 ბრიანსკი
ბარნაული 1:2 როსტოვი
სიბირი 5:0 ზვეზდა
მოსკოვი 3:1 ალანია
ურალი 3:0 სკა-ენერგია
ანჟი 5:2 მაშუკი
ნოსტა 1:0 ყუბანი
ვიტიაზი 1:1 ჩერნომორეცი
სკა 2:0 ვოლგა
სალიუტ ენერგია 2:0 კამაზი
ბალტიკა 2:1 ტორპედო

დანია

თასი

ოლბერსტლუნდი 0:3 გლოსტრუპი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

IV შესარჩევი ჯგუფი

ყაზახეთი 3:0 პოლონეთი

VIII შესარჩევი ჯგუფი

უნგრეთი 5:0 სან მარინო

IX შესარჩევი ჯგუფი

მოლდოვა 1:0 გერმანია

შვედეთი

სუპერლიტა

ფალკენბერგსი 2:0 იონკოპინგი
ჰაკენი 1:2 ბრომაპოიკარნა
მიალბი 0:1 ბანკეფლო

საფრანგეთი

თასი

გენგამი — ნიმი
ისტრი — კრეტეი
ლიბორნი — ნიორი
გადაიდო

ამხანაგური მატჩები

ავსტრალია 2:2 ს. აფრიკა
უკრაინა (U-21) 0:1 ბულგარეთი (U-21)
პორტუგალია (U-21) 2:3 ჩეხეთი (U-21)
სლოვაკეთი (U-21) 2:2 საფრანგეთი (U-21)
ავსტრია (U-21) 1:1 ირლანდია (U-21)
ინგლისი (U-21) 2:1 სლოვენია (U-21)
ვალიადოლიდი 5:1 ვილიარეალი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინსარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარაოვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge